



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თამარ მაყიშვილი

აფექტში ჩადენილი მკვლევლობის სამართლებრივი ანალიზი და
პრაქტიკული პრობლემები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ ლომსაძე,
პროფესორი

გორი
2020

ანოტაცია

მკვლელობა ქართულ სისხლის სამართალში არ წარმოადგენს სიახლეს. ამ დანაშაულის შესახებ არსებობს უამრავი სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. მიუხედავად ამისა გარკვეული სირთულეები იქმნება სასამართლოში ამ დანაშაულთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი ნაშრომი აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის არსს, მის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ელემენტების, დაუმთავრებელი მკვლელობის, მკვლელობის ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის პრობლემატური საკითხების გაშუქებას შეეხება.

ნაშრომის შესრულებისას ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა დიალექტიკური, პრაქტიკული განზოგადების, ანალიზისა და სინთეზის, ლოგიკური აზროვნების კვლევის მეთოდები.

მოცემული თემის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა ქართულ და რუსულ ენაზე შექმნილი სამეცნიერო კვლევითი ნაშრომები.

მოცემული ნაშრომი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს და პრაქტიკოს მუშაკებს მოცემული საკითხების შესწავლასა და დამუშავებაში.

Annotation

Tamar Makishvili

Legal analysis and practical problems of murder committed in affect

The crime of murder is not a novelty in Georgian criminal law. There is plenty of scientific literature discussing this crime in Georgian as well as in other foreign Languages. Nevertheless, in a court, there often occur difficulties while dealing murder.

The presented work deals with essence of murder and also with highlighting the problematic issues connected with this crime, such as: its objective and subjective composite elements, unfinished murder, murder execution.

While working on the thesis dialectic method, as well as methods of analysis and synthesis, research and logical thinking were used.

When studying the above-mentioned issues, we used scientific-research literature in Georgian and in Russian languages.

The work will be helpful for students and other people who are interested in the study and investigation of this problem.

სარჩევი

შესავალი -----	5 გვ.
თავი 1. მკვლელობის შემადგენლობა-----	6 გვ.
1.1 მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა -----	6 გვ.
1.2 მკვლელობის სუბიექტური შემადგენლობა -----	12 გვ.
თავი 2. აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციის პრობლემები -----	16 გვ.
2.1 აფექტის ზოგადი დახასიათება -----	16 გვ.
2.2 აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობის ფსიქოლოგიური კრიტერიუმები -----	17 გვ.
2.3 აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციის საკითხი-----	27 გვ.
2.4 მართლწინააღმდეგობა და ბრალი -----	40 გვ.
თავი 3. დაუმთავრებელი განზრახი მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში -----	44 გვ.
3.1 აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მომზადება-----	44 გვ.
3.2 აფექტის მდგომარეობაში განზრახ მკვლელობის მცდელობა -----	46 გვ.
3.3 აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება -----	48 გვ.
დასკვნა-----	51 გვ.
გამოყენებული ლიტერატურა:-----	53 გვ.

შესავალი

ადამიანის იმ უფლებათა შორის, რომელთაც იცავს მართლწესრიგი, ყველაზე მნიშვნელოვანია მისი უძირითადესი უფლებები - სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივისა და ღირსების. ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც ადამიანთა საზოგადოების მშვიდობიანი არსებობის ელემენტარულ უფლებად შეიძლება ჩაითვალოს, სოციალური ღირებულებათა სისტემაში უმაღლესი საფეხური უჭირავს. ამიტომ, მასზე ზრუნვა, მისი ყოველმხრივი დაცვა სახელმწიფოს პირველხარისხოვანი ამოცანაა.

სიცოცხლის სამართლებრივი დაცვის მეთოდებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის დაცვას სისხლისსამართლებრივი წესით. პასუხისმგებლობა ამ სიკეთეთა დანაშაულებრივი ხელყოფისათვის გაუთვალისწინებელია კოდექსის მე-19 თავით.

პიროვნების სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მკვლევლობის იურიდიული ანალიზის და პრაქტიკის განზოგადებას.

თავი 1. მკვლელობის შემადგენლობა

1.1 მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაული შედგება სამი ელემენტისაგან: კოდექსის, კერძო ნაწილში აღწერილი ქმედებისაგან, ქმედების მართლწინააღმდეგობისაგან და ბრალისაგან. ერთ-ერთი ელემენტის არარსებობაც კი გამორიცხავს დანაშაულს. ამიტომ, როდესაც მკვლელობაზე ვსაუბრობთ, დასახელებული ელემენტები აუცილებლად იგულისხმება ერთობლიობაში. მოქმედი კანონმდებლობით მკვლელობა მხოლოდ განზრახი ქმედებაა. თუ გაუფრთხილებლობას შედეგად მოჰყვება სიცოცხლის მოსპობა, ასეთი ქმედება მკვლელობად არ განიხილება.

აქედან დასკვნის სახით შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ მკვლელობა არის სხვა ადამიანის სიცოცხლის განზრახ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოსპობა.

ადამიანის სიცოცხლე ყველაზე მნიშვნელოვანი სიკეთეა. ამიტომ მკვლელობა ადამიანის ხელმყოფ დანაშაულთა შორის განსაკუთრებით მძიმედ ითვლება.

განზრახი მკვლელობა ყველაზე მძიმე დანაშაულია. ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლა მასთან სასამართლო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

კანონი იცავს ადამიანის სიცოცხლეს დაბადებიდან სიკვდილამდე. ჩანასახის მოსპობა დედის ორგანიზმში მკვლელობად არ ჩაითვლება. თუ არსებობს განსაზღვრული, კანონით გათვალისწინებული პირობები, ჩანასახის მოსპობა შეიძლება დაისაჯოს როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, სახელდობრ, როგორც უკანონო აბორტი. აბორტის დროს ზიანს განიცდის არა თვითონ ჩანასახის სიცოცხლე, არამედ ქალის ჯანმრთელობა. მკვლელობისას ისპობა სიცოცხლე და სწორედ იგი არის ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც ზიანს განიცდის.

ამრიგად, მკვლელობის ობიექტია სხვა პირის სიცოცხლის უფლება.

ადამიანის სიცოცხლის დასაწყისად ითვლება არა ის მომენტი, როცა ბავშვი სავსებით გამოეყო დედის საშოშს, ან ის, როცა მან სუნთქვა დაიწყო, არამედ მშობიარობის პროცესის ის მომენტი, როცა ხდება ბავშვის გამოყოფა დედის ორგანიზმიდან. ამიტომ ადამიანის მკვლელობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ იმ

მომენტიდან, როდესაც ნაყოფი ნაწილობრივ მაინც გამოყოფილია დედის ორგანიზმიდან, თუნდაც იგი ჯერ კიდევ არ სუნთქავდეს.

მკვლელობა შეიძლება მხოლოდ ცოცხალი ადამიანისა. სიკვდილი განდათანობით მიმდინარე პროცესია. კლინიკური სიკვდილი, ე.ი. სუნთქვისა და მაჯისცემის შეწყვეტა, გულის მოქმედების შეჩერება ნამდვილ სიკვდილს არ მოასწავებს, თანამედროვე მედიცინაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანი გამოჰყავთ კლინიკური სიკვდილის მდგომარეობიდან. ამიტომ ამჟამად სიკვდილის მომენტად ითვლება, გულის მოქმედების შეჩერებასთან ერთად, იმავდროულად თავის ტვინის ნერვული ელექტრონული აქტივობის უკუუბრუნებელი შეწყვეტის მომენტი, ე.ი. ფიზიოლოგიური სიკვდილი.

მკვლელობის ობიექტი არ შეიძლება იყოს ადამიანი. ადამიანი არის დაზარალებული და არა ობიექტი. მკვლელობის შემთხვევაში ობიექტს წარმოადგენს სხვა პირის სიცოცხლის უფლება. აქვე არ შეიძლება აღინიშნოს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ქმედების ობიექტისა და დანაშაულის ობიექტის ბუნება. ქმედების ჩადენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩადენილია დანაშაული. ამიტომ ქმედების შედეგად დაზიანებულად ზიანის საფრთხის წინაშე მდგარ სამართლებრივ სიკეთეს ქმედების ობიექტი უნდა ვუწოდოთ. ხოლო როცა ქმედება მართლსაწინააღმდეგო ხასიათის აღმოჩნდება და ჩადენილ ქმედებაში პირის ბრალეულობა გამოიკვეთება, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვუწოდოთ ქმედების ობიექტს დანაშაულის ობიექტი.

გარდა ამისა აუცილებლად მიგვაჩნია აქვე გავმიჯნოთ პოტენციური და რეალური ობიექტი. პოტენციურად უნდა ჩაითვალოს ის ობიექტი, რომელსაც შეიძლება ზიანი მიადგეს კერძო ნაწილში აღწერილი ქმედების შედეგად, ხოლო რეალურ ობიექტად გვევლინება ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც განიცდის ზიანს ან დგას ზიანის მიყენების საფრთხის წინაშე კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედების შედეგად.

ცხადია დაისმება საკითხი თუ რა ფორმით შეიძლება მკვლელობის ჩადენა? მართალია კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს მოქმედებით ან უმოქმედობით, მაგრამ უნდა დადგინდეს, როგორი ფორმითაა

შესაძლებელი მკვლევლობის ჩადენა. „ქმედება არის სოციალური ცხოვრების ფაქტი, - წერს ო. გამყრელიძე, - რომელსაც ადამიანი სჩადის განზრახ ან განუზრახებლად”.¹

სოციალური ცხოვრების ფაქტი გარეგნულად შეიძლება გამოიხატოს აქტიურ ან პასიურ ფორმაში. აქტიურობას მოქმედებას უწოდებენ, ხოლო პასიურობას - უმოქმედობას.

მკვლევლობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმოქმედობა ორი სახისაა: 1. წმინდა და 2. შერეული უმოქმედობა. წმინდა უმოქმედობა გვაქვს მაშინ, როდესაც კოდექსის კერძო ნაწილში აღწერილი ქმედების ჩადენა შეიძლება მხოლოდ უმოქმედობით და მისი ჩადენა გამორიცხულია მოქმედებით. წმინდა უმოქმედობაზე შეუღებელია ვილაპარაკოთ მკვლევლობის დროს, ვინაიდან ამ დროს სუბიექტის მოქმედება ზოგჯერ აქტიური ფორმით გამოიხატება. სახელდობრ, წყალში ჩაგდება, ცეცხლის წაკიდება, დანის ჩაცემა და ა.შ.

შერეული უმოქმედობა გვაქვს მაშინ, როდესაც ქმედების ჩადენა შეიძლება როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მკვლევლობის ჩადენა შეიძლება ორივე ფორმით. უმოქმედობა მაშინ არის დასჯადი, როდესაც პირს აქვს ვალდებულება მოქმედებისა და აქვს ასეთი შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედების შედეგად მკვლევლობა თავიდან იქნებოდა აცილებული. მოქმედების სპეციალური ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს: 1) თვით კანონიდან (მაგალითად, დედა ვალდებულია საზრდო მისცეს ჩვილ ბავშვს; 2) იმ მდგომარეობიდან, რაც ადამიანს უჭირავს (მაგალითად, ადვილად ფეთქებადი საამქროს უფროსი ვალდებულია მიიღოს აუცილებელი გამაფრთხილებელი ზომები აფეთქების თავიდან ასაცილებლად; საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები ავადმყოფის მკურნალობისათვის და ა.შ.); 3. წინა მოქმედებიდან, რომლითაც შექმნილია საშიშროება ადამიანის სიცოცხლისათვის. მაგალითად, მთასვლელი, რომელმაც იკისრა გამოუცდელი ტურისტების გაცილება მთებში, ვალდებულია აღმოუჩინოს მას დახმარება; მოქალაქე, რომელმაც შეიტყუა გამოუცდელი მცურავი წყალში, ვალდებულია აღმოუჩინოს მას დახმარება სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში.

¹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, გვ. 81.

ასე, რომ მკვლევლობა შეიძლება ჩადენილ იქნეს უმოქმედობითაც. მკვლევლობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელყოფილია სხვა ადამიანის სიცოცხლე. თვითმკვლელობის ცდა დანაშაულს არ წარმოადგენს. არ იწვევს პასუხისმგებლობა არც ხელის შეწყობა სრულწლოვანი ფსიქიკურად ნორმალური ადამიანის თვითმკვლელობისათვის. „მაგრამ თუ იმ პირს, ვინც შეაგულიანეს თავი მოეკლა ან რომლის თვითმკვლელობას ხელი შეუწყვეს, არ ჰქონდა უნარი ანგარიში მიეცა თავისი თავისთვის საკუთარ მოქმედებაში ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის, ადგილი ექნება არა თანამონაწილეობას თვითმკვლელობაში, არამედ მკვლელობას, ვინაიდან მოკლული აქ გამოყენებულია როგორც „ბრმა იარაღი“ საკუთარი სიცოცხლის მოსასპობად”.¹

შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა დადგინდეს ეს არის მკვლელობის დამთავრების ცნობის საკითხი სისხლის სამართლის კოდექსში დამთავრებული დანაშაულის სამი სახე გვხვდება: ა) ე.წ. შედეგიანი (მატერიალური) დანაშაული, ე.ი. ისეთი დანაშაული, რომლის შემადგენლობა ითვალისწინებს გარკვეული ობიექტის რეალურად დაზიანებას; ბ) ე.წ. კონკრეტული საფრთხის დელიქტი, რომელშიც დანაშაულის დამთავრების მომენტი გადატანილია უფრო ადრინდელ საფეხურზე, სახელდობრ, იმ საფეხურზე, როდესაც შემქნილია გარკვეული ობიექტის დაზიანების რეალური შესაძლებლობა; გ) ე.წ. აბსტრაქტული საფრთხის ანუ ფორმალური დანაშაული, ე.ი. ისეთი დანაშაული, რომელიც დამთავრებულად ითვლება ჩადენისთანავე ან უმოქმედობის დროს - იმ მომენტში, როდესაც სავალდებულო მოქმედება უნდა შესრულებულიყო.

მკვლელობის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია დადგეს ადამიანის სიკვდილი. ამიტომ მკვლელობა შედეგიანი დანაშაულია.

სუბიექტის მოქმედებასა (უმოქმედობასა) და ადამიანის სიკვდილს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ადამიანის სიკვდილის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა.

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 137-138.

უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ადამიანის სიკვდილის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

დაბოლოს, ცხადია იბადება კითხვა, თუ ვინ შეიძლება იყოს მკვლელობის სუბიექტი?

იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს, რომ დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.¹ საბჭოური სისხლის სამართლის მიხედვით დანაშაულის სუბიექტად მიჩნეული იყო ადამიანი, რომელიც კანონით დადგენილ ასაკსაა მიღწეული და შერაცხვისუნარიანია.²

მოცემული შეხედულება აშკარად მცდარია, ვინაიდან ადამიანი შეიძლება იყოს შერაცხვა უუნარო მდგომარეობიდან გამომდინარე (ასაკი და ფსიქიკური დაავადება), ან კონკრეტულ შემთხვევაში იყოს შერაცხვის უნარიანი, მაგრამ არ შეერაცხოს სისხლისსამართლის კოდექსის კერძო ნაწილში აღწერილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალის გამომრიცხველი გარემოებების გამო.

ო. გამყრელიძე განიხილავს დანაშაულის სუბიექტის საკითხს და საბოლოოდ მიდის შემდეგ დასკვნამდე: „საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს დანაშაულის სუბიექტი, მთავრდება იქ, სადაც გადაწყდება, რომ ეს არის ადამიანი. ის ფაქტი, მიღწეულია თუ არა ადამიანი შესაბამის ასაკს, დაავადებულია თუ არა ფსიქიკურად და სხვა, დანაშაულის სუბიექტთან არავითარ კავშირში არ არის. „მხოლოდ ადამიანი („ვინ) - წერს გერმანული კრიმინალისტი ი. ბაუმანი - შეიძლება იყოს დასჯადი ქმედების შემადგებლობის სუბიექტი.

შერაცხვა-შეურაცხაობა, ასაკი, ფსიქიკური დაავადება თუ სხვა რამ მოვლენა დაკავშირებულია არა დანაშაულის სუბიექტთან, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი

¹ ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბილისი, 1997, გვ. 148-176. ზ. გოთუა, პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის, თბილისი, 1994, გვ. 38-40.

² ბ. ფურცვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1971, გვ. 109-117.

დანაშულის სუბიექტს წინასწარვე გულისხმობს. სუბიექტი, ე.ი. ადამიანი წინამძღვარია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა.¹

ვერ დავეთანხმებით ო. გამყრელიძის ამ მოსაზრებას. პირმა თუ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. ამ ეტაპზე ჯერ იგი ქმედების სუბიექტია. ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს, როგორც შერაცხვისუვნარო (14 წლის ასაკს მიუღწეველი, ფსიქიკურად დაავადებული) და შერაცხვაუვნარიანი პირიც. თუ სასამართლო დაადგენს პირის შერაცხვაუვნარობას, მას ვერ ცნობს დამნაშავედ, ე.ი. ჩადენილ ქმედებას ბრალად ვერ შერაცხავს და მის მიმართ შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი თუ უმართლობა ჩადენილია ბრალის გამომრიცხველ სხვა გარემოებებში. ასეთ შემთხვევაში პირი რჩევა ქმედების სუბიექტად. პირი დანაშაულის სუბიექტი გახდება მაშინ, როდესაც სასამართლო ბრალად შეარაცხავს მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

ამრიგად, ქმედების სუბიექტი გადაიქცევა დანაშაულის სუბიექტად მაშინ, როდესაც მას ბრალად შეერაცხება ჩადენილი ქმედება.

ამრიგად, ამ ნიშნით შესაძლებელია ქმედების სუბიექტისა და დანაშულის სუბიექტის გამიჯვნა.

სწორად მიუთითებს ო. გამყრელიძე, რომ „ერთპიროვნული ანუ უშუალო ამსრულებელი არის ყოველი ადამიანი, ვინც საკუთარი ხელით ერთპიროვნულად ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას. ამ თვალსაზრისით უშუალო ამსრულებლის ცნება უნდა ემთხვეოდეს დანაშაულის სუბიექტის ცნებას.“²

¹ ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, #3-4, 2002, გვ. 16.

² ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბილისი, 1974, გვ. 48.

1.2 მკვლელობის სუბიექტური შემადგენლობა

ქმედების სუბიექტური მხარე შეიცავს პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობენ ამ პირის ცნობიერებაში. ქმედების სუბიექტური მხარე მოიცავს განზრახვას, მოტივს და მიზანს.

ქმედების უმრავლესობა შეიძლება მხოლოდ განზრახ იქნეს ჩადენილი ზოგჯერ კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედებას რომ აღწერს პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს მარტოოდენ განზრახ. ზოგჯერ კი ასეთი დასკვნა ქმედების სუბიექტური მხარის აღწერიდან გამომდინარეობს.

განზრახვა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა სუბიექტმა მიიღო ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება იმოქმედოს, ე.ი. განზრახვას წინ უსწრებს მოქმედების გადაწყვეტილების მიღება, უფრო სწორედ რომ ვთქვათ განზრახვისა და მოქმედების გადაწყვეტილების მიღება დროის ფაქტორით ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ განზრახვა სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას იგი მარტოოდენ მაშინ იძენს, როცა პირი შეუდგება მის განხორციელებას. განზრახ მოქმედებად ითვლება მხოლოდ ისეთი შეგნებული და მიზანდასახული მოქმედება, რომელიც უშუალოდ თუ არაუშუალოდ მიმართულია შედეგის მიღწევისაკენ. ამრიგად, განზრახვა გულისხმობს ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას, რომლის რეალიზაციაც იწვევს სისხლის სამართლის კანონში აღწერილ ქმედების შესრულებას და აკრძალვის დარღვევას. გადაწყვეტილება ყოველთვის წინ უსწრებს პირის მოქმედებას. განზრახვა ყოველთვის მომავლისკენაა მიმართული. განზრახვა მარტო მაშინ შეიძლება არსებობდეს, როცა სუბიექტი თავისი სურვილის განსახორციელებლად ისეთ სამუალებას იყენებს, რომელიც, მისი აზრით, ზემოქმედებას ახდენს რეალობაზე, გამოიწვევს განსაზღვრულ ცვლილებებს ობიექტურ გარემოში და ამით დასახულ მიზანს მიაღწევს.

საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლი ერთმანეთისაგან გამოყოფს ორ სახეს:

პირდაპირს და არაპირდაპირს.

მ. ტურავა აღნიშნავს რომ განზრახვა სამ კომპონენტია: ცოდნა იმისა რასაც ვაკეთებთ, ნებაყოფლობა იმისა, რასაც ვაკეთებთ და მართლწინააღმდეგობის შეგნება.¹

¹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2008, გვ. 129.

„...განზრახვის ინტელექტუალური მომენტი მოიცავს არა მარტო ქმედებისა და შედეგის ფაქტობრივი ხასიათის, - წერს ო. გამყრელიძე, - არამედ შემადგენლობის ამ ნიშნების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაცნობიერებაც, მაგრამ „ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება“ განზრახვის კი არა ბრალის ნიშანია”.¹

განზრახ მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით.

მკვლელობა პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა სხვა პირის სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა სხვა პირის სიკვდილის განხორციელების გარდაუვალობას.

მკვლელობა არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა სასიკვდილო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. მოქმედების შედეგის გათვალისწინება ნიშნავს არა მარტო კაცის სიკვდილის, არამედ აგრეთვე მოქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის გათვალისწინებას.

მკვლელობის სურვილი გულისხმობს, რომ 1) ადამიანის სიკვდილი ქმედების უშუალო მიზანია; 2) კაცის მკვლელობა დამნაშავეისათვის დასახული მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა; 3) ადამიანის სიკვდილი შეიძლება არც მიზანი იყოს ბოროტმოქმედისა და არც მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება, მაგრამ მკვლელს მიაჩნდეს, რომ მის მოქმედებას აუცილებლობით მოყვება ადამიანის სიკვდილი და ურიგდებოდეს ასეთ შედეგს.

მკვლელობა შეიძლება იყოს წინასწარ მოფიქრებული განზრახვით ან უეცრად აღძრული განზრახვით.

მკვლელობის სუბიექტური მხარის ელემენტებია აგრეთვე მოტივი და მიზანი. ისინი ფსიქოლოგიური ცნებებია.

მოტივი ნებისმიერი ქმედების ფსიქოლოგიური საფუძველია. მოტივი სხვა არაფერია თუ არა მოქმედების (უმოქმედობის) შესაძლო შედეგის წარმოდგენა და მისი

¹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, გვ. 99.

ღირებულების განცდა. სწორედ ღირებულების ასეთი განცდა უდევს საფუძვლად მიზნის ცნებას.

დანაშაულის ჩადენის მოტივი არის ის, რამაც უბიძგა და რომლითაც ხელმძღვანელობდა პირი განსაზღვრული მოქმედების ჩადენისას ან ასეთი მოქმედების ჩადენისაგან თავის შეკავებისას.

დანაშაულის მოტივების უმრავლესობა ეწინააღმდეგება როგორც სამართლის, ისე „კულტურის ნორმებს“.

განასხვავებენ დანაშაულის მოტივების სხვადასხვა სახეებს: ადამიანურობის მოძულე მოტივები, ანგარების მოტივები, პირადი მოტივები - შურისძიება, ეჭვიანობა, კარიერიზმი, ეგოიზმი, სიძულვილი, სიბრალული, სიყვარული და ა.შ.

საერთოდ, არც ერთი განზრახი დანაშაულის ჩადენა არ ხდება განსაზღვრული მოტივის გარეშე. მაგრამ დანაშაულის მოტივი ყოველთვის არ არის მართებული ქმედების სუბიექტური ქმედების ელემენტებს შორის.

დანაშაულის მიზანი არის დანაშაულებრივი ქმედების შედეგის აზრობრივი, აბსტრაქტული მოდელი, რომლისკენაც მიისწრაფის პირი დანაშაულის ჩადენის დროს. დანაშაულის მიზანი წარმოიშობა დანაშაულის მოტივის საფუძველზე, ორივენი ერთად კი ქმნიან პირის ინტელექტუალური და ნებელობითი საქმიანობის იმ ბაზას, რომელზეც აღმოცენდება განზრახვა, როგორც დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის ელემენტი.

აქედან გამომდინარე, მოტივი და მიზანი შეიძლება გათვალისწინებული იქნას მხოლოდ განზრახი დანაშაულის შემადგენლობაში. თუმცა კი მოტივზე ლაპარაკი შეიძლება მაშინაც, როცა ჩადენილია გაუფრთხილებლობითი დანაშაული.

დანაშაულის ჩადენის მოტივს და მიზანს სამგვარი სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს:

1) თუკი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში დანაშაულის მოტივი და მიზანი მითითებულია როგორც დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ნიშანი, პირის ქმედებაში მათი დაუდგენლობა გამორიცხავს დანაშაულის შემადგენლობის არსებობას;

2) მოტივი და მიზანი ზოგჯერ შეიძლება მოგვევლინოს, როგორც კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის დამამძიმებელი გარემოებები და მათი არსებობა დანაშაულის მარტივ სახეს აქცევს კვალიფიციურ შემადგენლობად;

3) თუკი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში მოტივი და მიზანი არ არის გათვალისწინებული არც როგორც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი და არც როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი, ისინი შეიძლება გაითვალისწინოე სასამართლომ სასჯელის განსაზღვრის დროს რადგანაც ზეგავლენას ახდენენ ბრალის ხარისხზე და შესაბამისად პასუხისმგებლობის მოცულობაზე.

თავი 2 . აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციის პრობლემები

2.1 აფექტის ზოგადი დახასიათება

აფექტი - ეს არის უეცრად , მცირე დროით წარმოქმნილი მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება „ემოციური აფეთქება“ ვუწოდოთ. იგი წარმოიქმნება ექსტერმალურ პირობებში , როდესაც სუბიექტს არ აქვს უნარი იპოვოს ადეკვატური გამოსავალი შექმნილი გარემოებიდან.

არსებობს აფექტური მდგომარეობის ორი ფორმა- ფიზიოლოგიური და პათოლოგიური. თ. შავგულიძის აზრით “ფიზიოლოგიური აფექტი, პათოლოგიური აფექტისაგან განსხვავებით, არ გამორიცხავს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; იგი მხოლოდ ასუსტებს, მაგრამ არ სპობს თვით-კონტროლისა და გარემოში სწორად გარკვევის უნარს”¹ . რაც შეეხება პათოლოგიურ აფექტს, ამ დროს პიროვნება სრულად მოკლებულია სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას.

აფექტის დიაგნოსტიკა ხელმისაწვდომია ფსიქოლოგიური მეცნიერების იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ფლობენ სპეციალურ ცოდნას აფექტური რეაქციის შექმნის, განვითარების და სპეციფიკის თავისებურებების შესახებ. აფექტის გავლენის ქვეშ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას აქვს თავისი განსაკუთრებული მიზეზები და პირობები, რომლებიც მის შექმნას განაპირობებენ. ასეთი არის აფექტოგენური სიტუაცია, პიროვნული თავისებურებები, ორგანიზმის შესუსტების ფაქტორები და ა.შ. ყველა ასეთი მომენტის კვალიფიციური შეფასება ითხოვს ფსიქოლოგების ცოდნა- გამოცდილების ჩართვას. ამიტომაც აფექტური მდგომარეობის მეცნიერულად საფუძვლიანი დიაგნოსტიკა შესაძლებელია სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ფარგლებში.²

¹ 219 სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2002, გამომცემლობა სამართლებრივი განათლების ასოციაცია,, გვ. 60

² О.Д.Ситковская, Л.П.Коньшева, М.М.Коченов, Новые направления судебнопсихологической экспертизы, Москва-2000, стр.46

2.2 აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფსიქოლოგიური კრიტერიუმები

კოდექსის III-ე მუხლის გამოყენების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მკვლელობის დროს დამნაშავე უნდა იმყოფებოდეს უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

აღელვება ემოციური განცდაა, რომელიც განსხვავებული ინტენსივობით ხასიათდება. ამასთან აღელვების ინტენსივობის ზრდამ გარკვეული მომენტისათვის შეიძლება გამოიწვიოს უეცარი, ემოციური აფეთქება, რომელიც უმალვე ქრება. ასეთ აფეთქებას ფსიქოლოგები აფექტს უწოდებენ. სწორედ აფექტი აქვს მხედველობაში კანონმდებელს, როდესაც იგი უეცრად აღმოცენებულ ძლიერ სულიერ აღელვებაზე მიუთითებს.

ამგვარად, კოდექსის III-ე მუხლის კვალიფიკაციის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს უეცრად აღმოცენებული, სწრაფად წარმავალი და უკიდურესად ინტენსიური ემოცია, რომელიც ეუფლება დამნაშავეს მკვლელობის ჩადენის მომენტში და გარკვეულად წარმართავს დანაშაულებრივ ქცევას.

რისხვის აფექტის ეს თვისება გვევლინება დანაშაულებრივი განზრახვის უეცრად აღმოცენებისა და მისი უმალვე სისრულეში მოყვანის წყაროდ.

ქმედების კოდექსის III-ე მუხლით დაკვალიფიცირების შემთხვევაში სასამართლომ აუცილებლად უნდა მიუთითოს, რომ მკვლელობა ჩადენილია უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების და არა საერთოდ აღელვების მდგომარეობაში.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღელვების უეცრობის საკითხი სხვადასხვაგვარად არის გაგებული.

ასე მაგალითად, ს. ბოროდინი თვლის, რომ უეცარი, ძლიერი სულიერიაღელვება უეცრად სდევს თან დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას.

გ. კრიგერის აზრით მკვლელობა უეცრად უნდა მისდევდეს დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას.¹

¹ Советское уголовное право, часть особенная, Москва, 1977 г. ст. 195

ი. კრუტოვი არ ეთანხმება „უეცრობის“ მომენტის ამგვარ გაგებას და ამტკიცებს, რომ შესაძლოა მკვლელობის განზრახვა აფექტის დროს განხორციელდეს საკმაოდ დროის გასვლის შემდეგაც.¹

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვერც ერთ ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან ვფიქრობთ, რომ ყველა შემთხვევაში თვით საკითხის დასმა არასწორია და აი რატომ:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფექტისათვის ძლიერი სულიერი აღელვების აღმოცენების უეცრობაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე „უეცრობა“, რომელზეც მიუთითებს კანონმდებელი, ეხება თვით აღელვებას, მის ხასიათს. კანონმდებელს მხედველობაში აქვს რისხვის აფექტი, მაგრამ არ შეაქვს დანაშაულის შემადგენლობაში ეს წმინდა ფსიქოლოგიური ტერმინი, არამედ მის ნაცვლად უთითებს უეცრად აღმოცენებულ ძლიერ სულიერ აღელვებაზე.

კოდექსის 111-ე მუხლში უეცრობის მომენტის შეტანით კანონმდებელი არ წყვეტს იმ საკითხს - მკვლელობა უეცრად უნდა მიჰყვეს დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას თუ არა, ანდა აუცილებელია თუ არა აღელვებას უეცრად მოჰყვეს მკვლელობა. ამ საკითხების გადაწყვეტისას უნდა გამოვიდეთ თვით აფექტის ბუნებიდან.

თუ აფექტი აღმოცენდება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისთანავე, მაშინ 111-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია მარტოოდენ იმ შემთხვევაში, როდესაც აღელვება იყო უეცარი საპასუხო რეაქცია დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე.

იგივე შეიძლება ითქვას დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის უეცრობაზე.

ეჭვს არ იწვევს, რომ აფექტი, როგორც წესი, არის უშუალო საპასუხო რეაქცია დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაზე, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ადრე მიღებული ძლიერი სულიერი ტრამვა გაცოცხლდეს გარკვეულ ფაქტთან დაკავშირებით და გამოიწვიოს უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება.

მოვიტანოთ მაგალითი საკმაოდ მოძველებული სასამართლო პრაქტიკიდან: სამხედრო ტყვე ან-ი წლების მანძილზე იმყოფებოდა გერმანელთა საკონცენტრაციო

¹ Ю Крутов, Умышленная убиство совершенное в состоянии внезапно возникшего сильного душевного волнения, Москва, 1966, ст. 171-173.

ბანაკში. ტყვეების წამებაში აქტიურად მონაწილეობდა სამხედრო პირი გან-ი, რომელიც ესესელთა აგენტად მუშაობდა. იმის დამთავრების შემდეგ დაინვალიდებული ან-ი მოულოდნელად შეხვდა ქუჩაში გან-ს. მისი ჩაცმულობა და იერი მეტყველებდა, რომ იგი ძალზე კარგად გრძნობდა თავს. გამძვინვარებულმა ან-მა ხელი დაავლო ქუჩაში მდგარ ურნას და იქვე მოკლა გან-ი.

ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში ვილაპარაკოთ აფექტზე? რა თქმა უნდა შეიძლება. მართალია საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნიდან გან-ის მკვლელობამდე საკმაოდ დრო გავიდა, მაგრამ ის დიდი სულიერი ტრამვა რაც ან-მა ბანაკში მიიღო, - ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი. გან-თან შეხვედრამ ახალი ტრამვა მიაყენა ან-ს, რამაც უეცრად გამოიწვია მასში ძლიერი სულიერი აღელვება.

როგორ წყვეტს ამ საკითხს სასამართლო პრაქტიკა? მოვიყვანოთ ორი მაგალითი: ინ-ი და მისი ქმარი ფან-ი ხშირად ჩხუბობდნენ. ფან-ი ლოთობდა და სცემდა ცოლს. შემთხვევის დღეს ფან-მა ფული წაართვა ცოლს, დათვრა და კვლავ სცემა მას. ინ-მა უკვე მძინარე ქმარს, მოკვლის მიზნით, ქვა ჩაარტყა თავში, რის შედეგადაც ფან-ი მძიმედ დაშავდა.

სასამართლომ ინ-ის მოქმედება დააკვალიფიცირა კოდექსის 19, 111-ე მუხლით.

ან-ი თოფით ხელში სანადიროდ აპირებდა წასვლას. კიბეზე მან შეამჩნია თავისი მცირეწლოვანი მტირალი და. ან-ის შეკითხვაზე დამ უპასუხა, რომ იგი რამდენიმე დღის წინ გააუპატიურა მისმა ბიძაშვილმა სან-მა. ან-ი უმაღლესად გაემართა ვენახისაკენ, სადაც სან-ი ეგულეობდა. მისვლისთანავე შესძახა: „ადექ შე უნამუსო უნდა მოგკლა“, ესროლა თოფი და მოკლა თავისი ბიძაშვილი.

სასამართლომ ქმედება დააკვალიფიცირა კოდექსის 111-ე მუხლით.

ორივე შემთხვევაში მკვლელობა დროის გარკვეული მონაკვეთით სცილდება დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, უმაღლესმა სასამართლომ მკვლელობა აფექტში ჩადენილად ჩათვალა.

ჩვენი აზრით, არც ერთ ზემოთ მოყვანილ მაგალითში არ არის გამორიცხული აფექტის არსებობის შესაძლებლობა, თუმცა ორივე შემთხვევა აფექტისათვის არატიპურია. ასეთ ვითარებაში სასამართლო ვალდებულია განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება და დაასაბუთოს, რომ ადგილი ჰქონდა უეცარ, ძლიერ

აღელვებას. განაჩენში უნდა დასაბუთდეს, რომ სწორედ აფექტმა შეუწყო ხელი მკვლელობის განზრახვის წარმოშობას და რომ ეს განზრახვა მოყვანილ იქნა სისრულეში აფექტის მდგომარეობაში.

ამრიგად, ცოლის მიერ ქმრის მკვლელობის ზემოთმოტანილ მაგალითში, სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმაზე, თუ როდის აღმოცენდა მკვლელობის განზრახვა. თუ ინ-ს ქმრის მკვლელობის განზრახვა დაებადა ადრე, მაგრამ დაიცადა, სანამ მსხვერპლი დაიძინებდა, რათა უფრო ადვილად მოეყვანა თავისი განზრახვა სისრულეში, მაშინ, თუ გინდ ინ-ი მკვლელობის მომენტში აფექტის მდგომარეობაშიც ყოფილიყო ქმედების კოდექსის 111-ე მუხლით დაკვალიფიცირება დაუშვებელია. ამ შემთხვევაში აფექტი იქნებოდა დანაშაულის ჩადენის თანამდევი მომენტი და არა მკვლელობის განზრახვის აღმოცენების პირობა.

სასამართლომ იმ-ის ქმედება კოდექსის 19-111-ე დაკვალიფიცირების დასაბუთებლად აქცენტი იმზე გააკეთა, რომ ფან-ი ცუდად ექცეოდა ცოლს და ეს უკანასკნელი მკვლელობის განზრახვამდე სწორედ ქმრის ამორალურმა და აუტანელმა ქცევამ მიიყვანა. ყოველივე ამის მტკიცებას, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის, მაგრამ იგი სრულიადაც არ იყო საკმარისი მკვლელობის 19,111-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ზემოთმოტანილ მაგალითზე ან-ის მიერ თავისი ბიძაშვილის მკვლელობის შესახებ.

აქაც მკვლელობის კვალიფიკაციის სისწორე დამოკიდებული იყო იმაზე, იმყოფებოდა თუ არა ან-ი მკვლელობის დროს აფექტის მდგომარეობაში, მაგრამ სასამართლომ დაასაბუთა არა ეს ფაქტი, არამედ ის, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი გაუპატიურებას.

იმის დადგენა, იყო თუ არა მკვლელობა ჩადენილი აფექტის მდგომარეობაში - რთულია.

აფექტი ემოციური განცდაა და ადამიანის ცხოვრების შინაგან სფეროს უფრო ეხება, ვიდრე გარეგანს. იგი ხანმოკლეა და გაქრობის შედეგად არ ტოვებს რაიმე ისეთ მდგარ კვალს, რომელიც შეიძლება გამოდგეს იმის დასამტკიცებლად, რომ მკვლელობა

აფექტის მდგომარეობაში იყო ჩადენილი. უკვე განვლილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების არსებობის დასასაბუთებლად ექსპერიმენტი არ გამოიყენება.

მიუხედავად მთელი ამ სირთულისა, აფექტის არსებობის დასასაბუთებლად სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს მთელი რიგი მონაცემები.

უპირველეს ყოვლისა, აფექტი არ წარმოადგენს მხოლოდ სულიერ ფენომენს. ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა იცოდნენ, რომ სულის ყოველგვარი მოძრაობა, მათ შორის რისხვა, შიში და სხვა კავშირში იყოფება სხეულთან და ამიტომ სხეულის ყველა განცდაში ასე თუ ისე მონაწილეობას.

უცხო ქვეყნების მეცნიერულ სამყაროში გარკვეული პოპულარობა მოიპოვა თეორიამ. რომელიც გრძნობათა და აფეთქებათა არსს სწორედ ფიზიკური მდგომარეობის განცდაში ხედავს. ამ თეორიას უწოდებენ ჯეიმს ლანგერის გრძნობათა თეორიას. ამ თეორიის თანახმად გრძნობა წარმოადგენს ფიზიკურ გამოვლინებათა კომპლექსის განცდას.

ჯეიმს ლანგერის თეორიაზე დაყრდნობით ზოგიერთი მეცნიერი აფექტს ჩვეულებრივი სულიერი მღელვარებისაგან მიჯნავს სწორედ ფიზიკური გამოვლინებით. იმასაც ამტკიცებენ, რომ აფექტს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც აღელვება და მისი თანმხლები ფიზიკური პროცესები სუბიექტურად განიცდება.

ფსიქოლოგები აფექტს ჩვეულებრივი აღელვებისაგან არ მიჯნავენ ფიზიკური გამოვლინებებით, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ აფექტს თან ახლავს ისეთი გარეგნული ფიზიკური ცვლილებანი, რომლითაც სასამართლოს შეუძლია დაასაბუთოს დამნაშავის უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ყოფნა.

აფექტი გარეგნულად ვლინდება სახის მიმიკის, ფერის, ხმის, ქესტიკულაციის ცვლაში. აფექტის დროს ფართოვდება თვალის გუგები, ხშირდება სუნთქვა, მატულობს გულისცემა და სხვა.

აფექტის დასასაბუთებლად შეიძლება გამოდგეს თვით დანაშაულებრივი ქცევის ხასიათიც. მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

კა-ნი ეჭვიანობდა ცოლზე. იმის გამო, რომ ცოლმა ორი ღამე არ გაათია სახლში, მათ შორის უსიამოვნება მოხდა. ცოლმა განუცხადა ქმარს, რომ უკვე გვიანია, რადგან

დაუკავშირდა სხვას. კან-მა წამოავლო ხელი სამზარეულოს დანას და ცხრაჯერ დარტყმით მოკლა ცოლი, თვითომ კი გაიქცა მაღალი ძაბვის ჯიხურთან და დენის მავთულს ჩამოეკიდა. მიღებული დაზიანების შედეგად კან-ს მოჰკვეტეს მარჯვენა ხელი. კან-ის მოქმედება თავისთავად მეტყველებს, რომ იგი იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში.

შვეიცარიელი მეცნიერი ჰ. ვალდერი თვლის, რომ ადამიანს შეუძლია დიდხანს ატაროს აფექტი, სანამ საქმე არ მივა განმუხტვამდე. ჰ. ვალდერის ეს აზრი არ უნდა იყოს ზუსტი. ადამიანმა შეიძლება დიდხანს ატაროს ესა თუ ის ემოციური განცდა, მაგრამ თუ განცდამ მიაღწია აფექტის ინტენსივობას, იგი სწრაფად ჩაქრება.

რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს აფექტი? ეს ფაქტის საკითხია, იგი დამოკიდებულია როგორც სუბიექტის თვისებებზე, ისე აფექტის სიღრმესა და ინტენსივობაზე. უდავოა ერთი: აფექტი შეიძლება გაგრძელდეს წამებსა და წუთებში, მაგრამ არა საათობით. რომ არ მოვიყვანოთ სხვა არგუმენტი, ადამიანი უბრალოდ ფიზიკურად ვერ გაუძლებს ასეთ ინტენსიურ ემოციურ განცდას.

ვინაიდან აფექტი სწრაფად წარმავალი ემოციური განცდაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ მკვლელობის განზრახვის აღმოცენებიდან მის რეალიზაციამდე მნიშვნელოვანი დრო გავიდა, უკვე თავისთავად გამორიცხულია დანაშაულის აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა და შესაბამისად კოდექსის 111-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა.

ამრიგად, აფექტის დასასაბუთებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას - მკვლელობის განზრახვა უმაღვე იქნა მიყვანილი სისრულეში თუ არა.

მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. ზენ-მა აიძულა თავისი ცოლი მიეღო ოჯახში მისი საყვარელი შან-ი, ხოლო თავისი თავი გაესაღებინა ზენ-ის დათ. სან-ი იძულებული გახდა დათანხმებოდა ზან-ს. შან-მა მთელი დღე გაატარა მათთან ერთად. ღამით, როდესაც ზენ-ი და შან-ი ერთად დაწვნენ დასაძინებლად, სან-მა მძინარე ქმარს თავში ნაჯახი დაარტყა. შემდეგ დაჯდა მომაკვდავი ქმრის საწოლთან და განუცხადა შან-ს, რომ მეორე სასიკვდილო დარტყმას ქმარს მიაყენებს გამთენიის ხანს. ზენ-მა მთელი ღამე გაატარა მომაკვდავი ქმრის გვერდით და გამთენიის ხანს ნაჯახის დარტყმით მოკლა იგი.

სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სან-მა ექვიანობის ნიადაგზე ჩაიდინა მკვლელობა.

ექვგარეშეა, რომ სან-ი მთელი ღამის განმავლობაში ვერ იქნებოდა აფექტის მდგომარეობაში. შესაძლოა მომაკვდავი ქმრის გვერდით მჯდომი სან-ი მართლაც ძლიერ ღელავდა, მაგრამ ეს არ არის აფექტი და შესაბამისად კანონმდებელი არ თვლის მას კოდექსის 111-ე მუხლის მაკვალიფიცირებელ ნიშნად.

მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი. დონ-ი ავადმყოფი შვილის წამლისათვის აფთიაქში მიდიოდა. გზაზე მას შეხვდა ხან-ი, რომელიც მთვრალ ამხანაგებთან ერთად მიდიოდა ქორწილიდან. ხან-ი უმიზეზოდ აუხირდა დონ-ს და ჯოხით სცემა იგი. დონ-მა ამოიღო დანა, ჩაარტყა სან-ს და მიაყენა მას ჯანმრთელობის დაზიანება.

დონ-ს მკვლელობის განზრახვა უმალვე არ მოუყვანია სისრულეში, მაგრამ აღწერილ შემთხვევაში არ არის გამორიცხული აფექტის არსებობა ვინაიდან დანაშაულებრივი განზრახვის აღმოცენებიდან მის სისრულეში მოყვანამდე არ გასულა დიდი დრო და, რაც მთავარია დონ-ის მოქმედება დანაშაულებრივი განზრახვის აღმოცენების შემდეგ მიმართული იყო მხოლოდ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანისაკენ, რაიმე გამაფრთხილებელი ან სხვა ღონისძიების გარეშე. ამ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აფექტის დასაბუთებისათვის, რადგან აფექტის დროს სუბიექტის მთელი ძალები მობილიზებულია აფექტის გამოხატვისაკენ და შესაბამისად გამორიცხულია სიტუაციის აწონ-დაწონა, მოტივაციის პროცესი, სიფრთხილის გამოჩენა და სხვა.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ერთ-ერთი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

მთვრალი ვინ-ი შეეცადა მეზობელი სან-ის 9 წლის გოგონას გაუპატიურებას, მაგრამ ვერ შეძლო ბოლომდე განეხორციელებინა თავისი დანაშაულებრივი განზრახვა, რადგან გოგონას ყვირილზე მას დეიდა მოეშველა. ვინ-მა განაცხადა, რომ უკვე დაგვიანებულია, რადგან მან გოგონა გააუპატიურა. ყველაფერი ეს უამბეს გოგონას მამას სან-ს, რომელმაც ლანძღვა დაუწყო ვინ-ს მისი უმსგავსო საქციელის გამო, ამ დროს სან-მა დაინახა კედელზე მიყუდებული ნაჯახი, წაავლო ხელი და უნდოდა დაერტყა ვან-ისათვის, მაგრამ თავი შეუკავა და ნაჯახი დამალა ბალიშის ქვეშ. შემდეგ არაფი დაუსხა

ვან-ს და დაალევინა. მაშინ, როდესაც ვან-მა, სიმთვრალის გამო, თავი დახარა მაგიდაზე, სანმა გამოაძრო ნაჯახი ბალიშიდან, დაარტყა ვან-ს თავში და მოკლა იგი.

სასამართლოს განაჩენში მითითებულია, რომ კოდექსის 111-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების ჩადენილი განზრახვი მკვლელობისათვის, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით. ამასთან ამ მუხლის გამოუენებისათვის აუცილებლად უნდა დადგინდეს ძლიერი სულიერი აღელვების აღმოცენების უეცრობა და მკვლელობის განზრახვის უმაღვე სისრულეში მოყვანა.

საქმის მასალებიდან კი ირკვევა, რომ თუმცა სან-მა მკვლელობა დაზარალებულის უმსგავსო საქციელის გამო ჩაიდინა, მაგრამ სან-ის მოქმედება არ იძლევა არავითარ საფუძველს განვიხილოთ იგი როგორც ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

სასამართლოს პოზიცია ჩვენი აზრით სწორია. ის გარემოება, რომ სან-მა ხელი დაავლო ნაჯახს, მაგრამ თავი შეიკავა და არ დაარტყა ვან-ს, უკვე იმაზე მეტყველებს, რომ მან დასძლია აფექტი. მისი შემდგომი მოქმედება არ არის აფექტისათვის დამახასიათებელი ქცევა.

აფექტის დასაბუთებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ჩადენის ხერხსა და იარაღს. უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში დამნაშავე, როგორც წესი, იყენებს იარაღს, რომელიც იმ წუთს მოხვდება ხელში - სარს, ქვას, ჯიბის დანას და სხვა.

აფექტის დროს გამორიცხულია მკვლელობის ისეთი ხერხის შერჩევა, რომელიც წინასწარ მომზადებასა და მოფიქრებას მოითხოვს.

სასამართლო პრაქტიკაში დანაშაულის ჩადენას ამა თუ იმ ხერხით ზოგჯერ იყენებენ როგორც საბუთს აფექტის უარყოფისათვის.

მოვიყვანოთ მაგალითი, რძალ-დედამთილი ხშირად ჩხუბობდნენ. შემთხვევის დღეს, მძიმე შეურაცხყოფის პასუხად, რძალმა თოკი მოუჭირა დედამთილს და დაახრჩო. სასამართლომ რძლის მოქმედება აფექტში ჩადენილ მკვლელობად ჩათვალა.

ჩვენი აზრით, აფექტის მდგომარეობა სრულიადაც არ გამორიცხავს დანაშაულის ჩადენის ამგვარ ხერხს, რადგან იგი არ არის დაკავშირებული წინასწარ მომზადებასა და მოფიქრებასთან.

სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც აფექტის არსებობას უკავშირებენ შერაცხადობის საკითხს.

ასე მაგალითად, გან-ის საქმეზე აფექტის არარსებობა დასაბუთებულია იმით, რომ დამნაშავე, დანაშაულის ჩადენის მომენტში შერაცხადი იყო და ამდენად შეეძლო კონტროლი გაეწია თავისი მოქმედებისათვის.

აფექტის არსებობა არ შეიძლება დასაბუთდეს პირის შერაცხადობით. ფიზიოლოგიური აფექტი მხოლოდ ზღუდავს ინტელექტუალურ და ნებელობით სფეროს, მაგრამ არ ახდენს მის სრულ პარალიზებას. უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების დანაშაულისათვის, შეურაცხადობის საკითხი სასამართლომ უნდა დასვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წყდება ბრალის საკითხი.

პირი, რომელიც მოქმედებდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, შერაცხადია, მას მხოლოდ დაქვეითებული აქვს თავისი მოქმედების მნიშვნელობის შეცნობის და მისი წარმართვის უნარი, რაც არ გამორიცხავს ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს რაიმე სიტყვების წარმოთქმის შესაძლებლობას.

ამრიგად, იმის დასასაბუთებლად, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, სასამართლოებმა ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ როგორც დამნაშავის პიროვნება, ისე დანაშაულის ჩადენის მთელი ვითარება, დაზარალებულსა და დამნაშავის მოქმედების ხასიათი, დანაშაულის ჩადენის იარაღი, ხერხი და სხვა. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ზოგჯერ არასაკმარისი ხდება შემთხვევის ყოველმხრივი ზუსტი ანალიზიც კი. სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვაგვარ რეაგირებას ახდენს ერთსა და იგივე გამაღიზიანებელზე. ზოგიერთი ადვილად აღზნებადია, ზოგჯერ კი პირიქით.

თვით ემოციური განხდაც, რომელსაც მივყავართ დანაშაულამდე, ხშირად რთული და ძნელად ასახსნელია. განხდის ინტენსივობა, სიღრმე და ხანიერება მუდმივად ცვალებადია. განსაკუთრებით რთულდება მდგომარეობა ე.წ. აფექტის „აკუმულაციის“ დროს, როცა სუბიექტის ნერვული სისტემა არაერთხელ მიღებული სულიერი ტრავმის

შედეგად იმდენად იძაბება, რომ შეიძლება განიმუხტოს გამომწვევი მიზეზების შეუსაბამო აფექტირებულ ქცევაში.

ამ რთული პრობლემის გადაჭრის დროს შეიძლება სასამართლოს დასჭირდეს ფსიქოლოგის ცოდნა. ამიტომ ვფიქრობთ, იმის დასადგენად, ჩადენილია თუ არა მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში, სასამართლომ უნდა მიმართოს ექსპერტ-ფსიქოლოგს.

2.3 აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციის საკითხი

კოდექსის 111-ე მუხლში ცალკე შემადგენლობად არის ჩამოყალიბებული განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ”.

განზრახ მკვლელობა რომ ამ მუხლით დაკვალიფიცირდეს, საჭიროა ერთდროულად არსებობდეს ოთხი პირობა მაინც: ა) დამნაშავე მკვლელობის ჩადენისას უნდა იმყოფებოდეს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში; ბ) ძლიერი სულიერი აღელვება ადრული უნდა იყოს უეცრად; გ) უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული უნდა იყოს მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, მძიმე შეურაცხყოფით, მძიმე ამორალური ქმედებით, მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმით”, დ) მსხვერპლის ქმედებები მიმართული უნდა იყოს დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

პრაქტიკაში ჯერ კიდევ ხშირად არასწორად აკვალიფიცირებენ ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობას. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ მეტად ძნელია ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობის ზუსტი განსაზღვრა და დადგენა. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

სასამართლო განაჩენით ენ-ს მსჯავრი დაედო კოდექსის 18,108 მუხლით. მან შურისძიების ნიადაგზე მკვლელობის მიზნით, თოფის გასროლით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა დონ-ს.

სააპელაციო განხილვისას სასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სასამართლომ სწორად არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოება, რამაც გავლენა იქონია მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციაზე. საქმით მასალებით დადგინდა, რომ ცუდი დამოკიდებულება უნ-სა და დაზარალებულ დონ-ს შორის გამოწვეული იყო

მათი შვილების განქორწინებით. დაზარალებულის ოჯახი თვლიდა, რომ განქორწინებაში ბრალი მიუძღოდა უნ-ის ოჯახს. ამის გამო არ ასვენებდნენ უნ-ს - უვარდებოდნენ სახლში, აყენებდნენ შეურაცხყოფას. უნ-მა რამდენჯერმე მიმართა პოლიციის ორგანოებს განცხადებით, მაგრამ ამაოდ. შემთხვევის დრეს დაზარალებულმა, რომელიც მთვრალი იყო, კვლავ მიაყენა შეურაცხყოფა უნ-ს. ამ უკანასკნელმა არ მიაქცია მას ყურადღება და განერიდა. მიუხედავად ამისა, დონ-ი ახლა შინ მიეჭრა უნ-ს, იგინებოდა და შემდეგ ქვა დაუშინა სახლს. აღელვებული უნ-ი გამოვიდა აივანზე და სანადირო თოვის გასროლით დაჭრა დონ-ი.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ უნ-ის მოქმედება უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის მიერ დამნაშავეს მძიმე შეურაცხყოფით და ძალადობით. ამიტომ სააპელაციო სასამართლომ უნ-ის ქმედება კოდექსის 12,108 მუხლიდან გადააკვალიფიცირა კოდექსის 19, 111-ე მუხლზე.

აფექტი, როგორც მცირეხნიანი ძლიერი ემოციური განცდა არ ტოვებს ისეთ ხელშესახებ კვალს, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა დარწმუნებით გვემსჯელა, ნამდვილად იყო თუ არა იგი. აფექტი იმდენად ხანმოკლეა და სწრაფმავალი, რომ ხშირად ექსპერტსაც არ შეუძლია განსაზღვროს, ნამდვილად იყო თუ არა სუბიექტი დანაშაულის ჩადენის მომენტში აფექტის მდგომარეობაში.

ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა (აფექტი) განსაკუთრებული ინტენსივობის მქონე, უეცრად აღმოცენებული სწრაფმავალი განცდაა, - წერდა რ. ნათაძე - რომელიც მთლიანად მოიცავს პიროვნების დანაშაულის ჩადენის მომენტში და წარმართავს მის ქცევას. აფექტი ძლიერი გამომხატველი მოძრაობებით ხასიათდება”.¹

აფექტი გავლენას ახდენს ინდივიდის ცნობიერების სფეროზე. ამ დროს როგორც იტყვიან, ადამიანი „თავს კარგავს”. მას უქვეითდება უნარი კონტროლი გაუწიოს თავის ქცევას. აფექტი გვევლინება ცნობიერების დამმუხრუჭებელ გარემოებად. ლიტერატურაში განასხვავებენ ნაკლებად ინტენსიურ და ზეინტენსიურ აფექტს. ნაკლებად ინტენსიურ აფექტს სასამართლო ფსიქიატრიაში პირობითად უწოდებენ ფიზიოლოგიურ აფექტს, ხოლო ზეინტენსიურს - პათოლოგიურ აფექტს. ასეთ

¹ რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1989, გვ. 452.

დაყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

პათოლოგიური აფექტის დროს ხდება გონების სრული დახშობა და ნებისყოფის პარალიზება, მატრავმირებული განცხადების გავლენით ადამიანს ერღვევა გარემოს აღქმის, მომხდარი ფაქტისადმი დაკვირვებისა და საკუთარი მოქმედების შემეცნების უნარი. მისი წარმოდგენათა სფერო იმდენად ვიწროვდება, რომ იგი მხოლოდ მტკივნეული მატრავმირებული განცდებით შემოიფარგლება, ყველა სხვა წარმოდგენათათვის წყვეტს არსებობას.¹ ამას შედეგად მოსდევს ე.წ. აფეთქების ფაზა: გონების დაკარგვა, ორიენტირების სრული მოშლა. ერთი სიტყვით, პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის დამახასიათებელია: გონების სრული დაბნელება. თვითკონტროლის ანუ საკუთარი მოქმედებისადმი ანგარიშის გაწევის უნარი დაკარგა და სხვ. ეს არის შეურაცხაობა.

პათოლოგიური აფექტისაგან განსხვავებით, ფიზიოლოგიური აფექტის დროს დამნაშავე პირი შერაცხადია. ფიზიოლოგიური აფექტი არ არის ავადმყოფური მდგომარეობა. ამ დროს ხდება ცნობიერების მკვეთრი შეცვლა, გონების სრული დაბნელება. ფიზიოლოგიური აფეთქების დროს პირი თუმცა თავშეუკავებლად მოქმედებს, მაგრამ მას დაკარგული არა აქვს უნარი კონტროლი გაუწიოს თავის მოქმედებას, შენარჩუნებული აქვს მახსოვრობა.

როგორც წესი, განრისხების ან სხვა აფექტური მდგომარეობის დროს ჯანმრთელი ადამიანი არასოდეს არ კარგავს გონებას. ძნელია წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომლისთვისაც უცხო იყოს ემოციური განცდა. მაგრამ ყველა როდი სჩადის დანაშაულს. არ შეიძლება აფექტის მიჩნევა დანაშაულის მიზეზად. ეს რომ ასე იყოს, როგორც სწორად შენიშნავს თ. შავგულიძე, „მაშინ დამნაშავე უნდა დაგვესაჯა არა ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისათვის, არამედ იმისათვის, რომ მან ვერ შეძლო დაეძლია აფექტი, რასაც შედეგად დანაშაულებრივი ქმედება მოჰყვა.“² აფექტი წარმოადგენს ფსიქიკური აქტიურობის წყაროს, ემოციურ აფეთქებას. ამ დროს პირი ცდილობს უმოკლესი გზით დაიკმაყოფილოს შურისძიების სურვილი. მას შესუსტებული აქვს თვითკონტროლის, დანაშაულებრივი ქცევისაგან თავშეუკავების

¹ Судебная психиатрия, Москва, 1971, ст. 162-163.

² Т. Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность, Тбилиси, 1973, ст. 58-60.

უნარი. მაგრამ ეს უნარი არ არის გამორიცხული. სწორედ ამიტომ აგებს იგი პასუხს ამ მოქმედებისათვის. აფექტი ასრულებს კატალიზატორის როლს, წარმოადგენს შემამსუბუქებელ ფაქტორს, ე.წ. „სოციალურ მუხრუქს“, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას და არა ფაქტორს, რომელიც აგვიხსნის დანაშაულის ჩადენის მიზეზს. სწორედ ამიტომ არის მიჩნეული ფიზიოლოგიური აფექტი შემამსუბუქებელ გარემოებად და არა, საერთოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად.

აფექტის მდგომარეობაში მყოფი პირი ჩაიდენს თუ არა დანაშაულს, ბევრად არის დამოკიდებული იმ გარემოს გარკვევაზე, რომელშიც მოხდა ამ პირის აღზრდა და პიროვნებად ჩამოყალიბება, ასევე პიროვნების სიწმინდეზე და კიდევ სხვა მრავალ ფაქტორზე: ეროვნული ეთნოგრაფიული კუთვნილება, არსებული ადათ-წესები, გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი და ა.შ.

ლიტერატურაში არის აზრთა სხვადასხვაობა აფექტის დროს განზრახვის არსებობის შესახებ. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, თითქოს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გარდა არსებობს ქმედების რაღაც განსაკუთრებული ფორმა, მაგალითად, ღრმა სიმთვრალით გამოწვეული ძლიერი ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში.¹ ზოგი იმასაც აღნიშნავს, რომ პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის გარდა სასამართლო პრაქტიკა იცნობს ე.წ. აფექტირებულ და განუსაზღვრელ (ალტერნატიულ) განზრახვის სახესაც. ასეთი განზრახვის აუცილებელ ნიშნებად მათ მიაჩნდათ: ძლიერი სულიერი აღელვება, აღელვების უეცარი აღძვრა, ხელყოფის არამართლზომიერება და ა.შ.² მაგრამ ყველა ეს ნიშანი დამახასიათებელია კანონით გათვალისწინებული განზრახი მკვლელობისათვის, რომელიც ჩადენილია ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. მაგრამ აქ რაღაც განსაკუთრებულ „აფექტირებულ განზრახვაზე“ ლაპარაკი შეცდომაა. თავის დროზე ამ საკითხის ირგვლივ ფართო დისკუსიაც კი გაიშალა საერთაშორისო მასშტაბით.³ უმრავლესობის აზრით, აფექტირებულ განზრახვის მიჩნევა ქმედების განსაკუთრებულ ფორმად დაუშვებელია.

¹ П. Дагель, Проблема бессознательного и некоторые вопросы вины в уголовном праве, Москва, 1968, ст. 69-82.

² Г. Злобин, Б. Никифоров, Умысел и его формы, Москва, 1972, ст. 93.

³ Т. Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность, Тбилиси, 1973, ст. 76-91.

კოდექსის 111-ე მუხლში ლაპარაკია განზრახ მკვლელობაზე, რომელიც ჩადენილია ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. აფექტის დროს დამნაშავე ჩვეულებრივ ითვალისწინებს იმას, რაც მას სურს. თუ დადგინდება, რომ აფექტის მდგომარეობაში მყოფი დამნაშავე არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა იგი, მაშინ საქმე გვექნება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობასთან. ამიტომ არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს პირის მოქმედება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ განზრახ მკვლელობად, თუ იგი აფექტის მდგომარეობაში სახეში გაართყამს ვინმეს ხელს, ამ უკანასკნელს ფეხი გაუცურდება, მიწაზე დაეცემა, ქვას დაართყამს თავს და მიიღებს დაზიანებას რის შედეგადაც მოკვდება. კანონმდებელი თვლის, რომ ქმედების 111-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია განზრახვის არსებობა. თუ ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფი პირის მოქმედება მიიღებს გაუფრთხილებლობით სახეს, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი, ხოლო აფექტის მდგომარეობა შემამსუბუქებელ გარემოებად იქნება მიჩნეული სასჯელის განსაზღვრისას.

როგორც ითქვა, აფექტისათვის აუცილებელია კანონით გათვალისწინებული ოთხი პირობის არსებობა. ორი პირობა - დამნაშავე რომ დანაშაულის ჩადენისას უნდა იმყოფებოდეს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და რომ ეს ძლიერი სულიერი აღელვება უნდა ატარებდეს უეცარ ხასიათს - გათვალისწინებულია მრავალი ქვეყნების კოდექსებით. რაც შეეხება დანარჩენ ორ პირობას, აქ ქართულ კოდექსს თავისებური პოზიცია უკავია.

ზოგი ავტორი თვლის, რომ ძლიერი სულიერი აღელვება აღიძვრება უეცრად, როგორც საპასუხო რეაქცია ძალადობასა ან შეურაცხყოფაზე და ამიტომ არ შეიძლება მათ შორის არსებობდეს დროში სხვაობა. ს. ბოროდინი, მაგალითად, თვლის, რომ თუ დავუშვებთ სხვაობას დროში, მაშინ არ გვექნება ფიზიოლოგიური აფექტისათვის დამახასიათებელი ძლიერი სულიერი აღელვების უეცრად აღძვრის მომენტი.¹

ა. პონტოვსკის აზრით, 104-ე მუხლი (საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლი) არ მიესადაგება მკვლელობას, რომელიც ჩადენილია უკანონო ძალადობის ან მძიმე

¹ С. Бородин, Квалификация убийства по действующему законодательству, Москва, 1966, ст. 127ю

შეურაცხყოფის მიყენებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, თუნდაც დამნაშავე იმყოფებოდეს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. ამავე დროს, მისი აზრით, უმნიშვნელო განსხვავება დროში - უკანონო ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფისა და მკვლელობის ფაქტს შორის არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მომხდარი მკვლელობა დაკვალიფიცირდეს აღნიშნული მუხლით.¹

გამორიცხული არ არის, რომ კანონსაწინააღმდეგო ძალადობა და საპასუხო რეაქცია ერთმანეთს დროში არ დაემთხვას. სწორად მიგვაჩნია თ. შავგულიძის მოსაზრება, რომ აფექტი უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს უშუალო საპასუხო რეაქციას დაზარალებულის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაზე, მაგრამ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, როდესაც სუბიექტის მიერ ადრე მიღებული ძლიერი სულიერი ტრავმა ცოცხლდება გარკვეულ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს ამ ფაქტისათვის შეუფერებელ ემოციურ აფეთქებას.

იმისათვის, რომ მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში ჩადენილად იქნეს ცნობილი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ. ლეკვეიშვილი, საჭიროა უეცრად იყოს აღძრული არა მარტო ძლიერი სულიერი აღელვება, არამედ მკვლელობის განზრახვაც. თუ სუბიექტს მკვლელობის განზრახვა ადრე ჰქონდა ჩაფიქრებული და აღელვება მხოლოდ მკვლელობის თანმდევი შედეგია, მაშინ მკვლელობა ვერ ჩაითვლება შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილად, და მაშასადამე, ვერ დაკვალიფიცირდება კოდექსის 111-ე მუხლით. თუ მკვლელობის განზრახვა დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისთანავე აღიძრა, მაგრამ მაშინვე კი არ იქნა განხორციელებული, არამედ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, ქმედება დაკვალიფიცირდება შურისძიებით ჩადენილ მკვლელობად.²

იმისათვის, რომ დანაშაული დაკვალიფიცირდეს კოდექსის 111-ე მუხლით, აუცილებელია, რომ უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული იყოს დაზარალებულის უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით. დაზარალებულის მიერ ჩადენილი ძალადონა კანონსაწინააღმდეგო, არამართლზომიერი უნდა იყოს. უკანონო ძალადობას განმარტავენ, როგორც ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებას,

¹ Курс Советского уголовного права, Т. 5. Москва, 1971, ст. 64-65.

² მ. ლეკვეიშვილი, მკვლელობა ჩადენილი უეცრად აღძრული სულიერი აღელვების საფუძველზე, „საბჭოთა სამართალი“, 1976, #5, გვ. 13.

რაც მიზნად ამა თუ იმ პირის, რეალურ ან სავარაუდო წინააღმდეგობის დაძლევას. ძალადობის ცნება გულისხმობს როგორც ფიზიკური ძალმომრეობას - სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, გაუპატიურება, ცემა, წამება და ა.შ., ისე ფსიქიკურ ზემოქმედებასაც.

„ძალადობა, - როგორც სწორად აღნიშნავს თ, შავგულიძე, - ყოველთვის მოქმედებას გულისხმობს...არ შეიძლება ძალადობად ჩაითვალოს დანაშაულებრივი უმოქმედობა ან ისეთი მოქმედება როგორცაა დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის თანხმობით ან მის მიერ შეუცნობლად.¹

მარტო ძალადობის ფაქტი საკმარისი არ არის, ამასთან აუცილებელია დადგინდეს, მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათიც. კანონი აფექტის გამართლებისათვის საკმარისად მიიჩნევს ძალადობის უკანონო ხასიათს და არ მოითხოვს რაიმე მძიმე შედეგს ან განსაკუთრებულ დამამძიმებელ გარემოებას. პირის მოქმედება რომ კოდექსის 111-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს, საკმარისია ისეთი უკანონო ძალადობის ფაქტის არსებობა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს უცარი ძლიერი სულიერი ადელვება.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის კოდექსის 111-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ ის კანონსაწინააღმდეგო ძალადობა, რომელმაც უშუალოდ გამოიწვია აფექტი, არამედ ის ვითარებაც, რომელიც წინ უძღოდა მკვლელობას. მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

სასამართლოს განაჩენით კან-ს მსჯავრი დაედო კოდექსის 108-ე და 120-ე მუხლებით, შემდეგ გარემოებათა გამო: კან-ი თავის ამხანაგებთან ერთად სახინკლეში იყო. იქ შემთხვევით შეხვდა შან-ს და თან-ს. კან-ს და შან-ს ამ შემთხვევამდე რამდენჯერმე ჰქონიათ შელაპარაკება. შან-ი მივიდა კან-თან და დაუწყო დავა იმ ინციდენტის გამო, რომელიც მათ შორის მოხდა რამდენიმე დღის წინათ. დავა ჩხუბში რომ არ გადაზრდილიყო კან-მა ბოდიში მოუხადა შან-ს და განერიდა იქაურობას, მაგრამ შან-ი დაედევნა კან-ს და დაუწყო გინება. ამასთანავე მოითხოვა ფული. კან-მა განუმარტა, რომ მას მხოლოდ მანეთი აქვს და თვითონ სჭირდება. შან-მა მაინც მოითხოვა მიეცა მისთვის მანეთი. ამ დროს კან-მა ამოიღო ჯიბიდან დანა და მოკვლის

¹ ვ. მაყაშვილი, მ. მაქავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბილისი, 1980, გვ. 47.

განზრახვით შან-ს მუცელში ჩასცა, ხოლო მის ამხანაგ თან-ს მკლავში. შან-ი გარდაიცვალა, თან-მა კი ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიიღო.

შემდგომმა სასამართლომ კან-ის დანაშაულებრივი ქმედება გადააკვალიფიცირა კოდექსის 111-ე მუხლზე.

საქმის მასალებით დადგინა, რომ შან-მა 5 მანეთი წაართვა კან-ს. ამ შემთხვევიდან რამდენიმე ხნის შემდეგ კან-ი შემთხვევით შეხვდა შან-ს. შან-მა კვლავ მოსთხოვა მას ფული, კან-მა განუმარტა, რომ არა აქვს ფული. შან-ი არ მოეშვა და კვლავ დაჟინებით სთხოვდა ფულს, კან-მა ხელი გაართვა შან-ს, შეახტა ავტობუსს და გაიქცა. ყოველივე ეს წინ უსწრებდა მომხდარ ინციდენტს.

როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო გარემოების დროს კან-მა არ უარყო, რომ დანა დაართვა შან-ს და მის ამხანაგს. მაგრამ განმარტა, რომ შან-ს მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია და დანა იხმარა იმიტომ, რომ თავისი მოქმედებით შან-მა მოთმინებიდან გამოიყვანა და ძლიერ აღელდა.

მოწმეთა ჩვენებით დადასტურდა, რომ კან-ი სისტემატურ დევნას და შეურაცხყოფას შან-ის მხრიდან. იგი სძალავდა კან-ს ფულს.

საქმის მასალების ანალიზის შედეგად სასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კან-მა დანაშაული ჩაიდინა უეცრად აღმოცენებული ძლიერი სულიერი აღელვების, ანუ აფექტის მდგომარეობაში. სისტემატური ძალადობა და მძიმე შეურაცხტოფა ამზადებდა აფექტს. ძალადობის უკანასკნელმა აქტმა გამოიწვია აფექტის განმუხტვა.

ლიტერატურასა და პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული მძიმე შეურაცხყოფის ცნება. ჯერ კიდევ დადგენილი არ არის, თუ რას გულისხმობს იგი. კანონმდებელი კი აფექტის გამართლებისათვის საჭიროდ მიიჩნევს არა უბრალო, არამედ მძიმე შეურაცხყოფას.

მ. ლეკვეიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ მძიმე შეურაცხყოფად უნდა მივიჩნიოთ პიროვნების პატივისა და ღირსების უხეში, განსაკუთრებით მძიმე დამცირება. შეურაცხყოფის სიმძიმის საკითხი გადაწყვეტილი უნდა იქნას ყველა კონკრეტულ საქმეზე საქმის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლივი გათვალისწინებით. მართალია, სუბიექტურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სხვადასხვა ადამიანი

სხვადასხვაგვარად აღიქვამს შეურაცხყოფას, მაგრამ მარტო სუბიექტურ ფაქტორზე დაყრდნობით ქმედების სწორი კვალიფიკაცია შეუძლებელია.¹

ლიტერატურაში სადავოდ ითვლება საკითხი, ჩაითვალოს თუ არა მძიმე შეურაცხყოფად ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევა - ერთ-ერთი მეუღლის თანდასწრებით. სასამართლო პრაქტიკა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების გამომწვევად თვლის ერთ-ერთი მეუღლის ღალატს მეორის თანდასწრებით, ე.ი. ამ ფაქტს მძიმე შეურაცხყოფად მიიჩნევს.

ცოლებრული ღალატი ყოველთვის, ყველა ცივილიზებულ ხალხში დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა. მართალია, ძველად, საქართველოში ქმრის მიერ ცოლის მკვლელობა ყოველთვის მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ გამონაკლისი ყო, როდესაც ქალს მრუმობაზე წაასწრებდნენ. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის თანახმად, „თუ კაცმან თავისი ცოლი მრუმობაზე დაახელოს და მოკლას, არა მძისაგან, არა ნათესავისაგან სისხლის არ ეთხოვების”.

იმავე მუხლით, ყრმას უფლება ჰქონდა მოეკლა თავისი ბატონი თუ იგი ცოლთან მწოლარეს მოუსწრებდა მას. „თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშიყოს, ან ღამით და ან დღისით და ცოლთან საწოლად დაახელოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ ეთხოვების”. როგორც ვხედავთ ფეოდალური სამართალსაც კი ცოლ-ქმრული ღალატი ოჯახის საფუძვლის შემარყველ-გამანადგურებელ მოქმედებად მიაჩნდა, თორემ ყმას ასეთ დიდ უფლებას არ უბოძებდა.

ს. ბოროდინს ცოლ-ქმრული ღალატი მძიმე შეურაცხყოფად მიაჩნია, თუმცა იქვე შენიშნავს, ამ საკითხზე პასუხის გაცემა ყველა შემთხვევისათვის შეუძლებელია.²

თ. შავგულიძის აზრით, არ შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ცოლ-ქმრული ღალატის შემთხვევაში მოღალატე მხარის ან მისი საყვარელის მოქმედება მიზნად ისახავს პიროვნების პატივისა და ღირსების დამცირებას, ვინაიდან, ისინი, როგორც წესი, ცდილობენ ღალატი შეუმჩნეველი დარჩეს არა მარტო მეუღლისათვის, არამედ ყველა გარეშე პირისათვის. ძნელი დასამტკიცებელია, განაგრძობს თ. შავგულიძე, რომ ქალს, რომელიც ნებდება მამაკაცს, ამით სურს დაამციროს თავისი საყვარლის ცოლის

¹ მ. ლეკვიშვილი, მკვლელობა, ჩადენილი უეცარი აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე, „საბჭოთა სამართალი”, 1976, #5, გვ. 15.

² С. Бородин, Квалификация убийство по действующему законодательству, Москва, 1966, ст. 132-133ю

პატივი და ღირსება. მას ასევე ძნელად დასამტკიცებლად მიაჩნია ცოლ-ქმრული ღალატის კანონსაწინააღმდეგო ქცევად მიჩნევა, ვინაიდან ადამიანს აქვს სქესობრივი თავისუფლების უფლება მაშინაც კი, როდესაც იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება. აღნიშნულიდან გამომდინარე თ. შავგულიძე დაასკვნის: კანონის კონსტიტუცია არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ცოლ-ქმრული ღალატით გამოწვეული მკვლელობა დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ცოლქმრული ღალატი არ მიაჩნია მართლსაწინააღმდეგო ხასიათის მქონედ და შეურაცხყოფელად სისხლის სამართლის თვალსაზრისით, მაინც იმ აზრისაა, რომ სასამართლო პრაქტიკა დგას სწორ გზაზე, როდესაც შორდება კანონს და ცოლ-ქმრული ღალატით გამოწვეულ ფიზიოლოგიურ აფექტს გამართლებულად თვლის.

მისი აზრით, ცოლ-ქმრული ღალატი, როგორც ამორალური საქციელი, ხშირად სუბიექტს მძიმე ტრავმას აყენებს, ამასთან ერთად, მოტყუებული განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფების მიერ ფასდება როგორც არასრულფასოვანი და დამცირებული. ამიტომ ცოლ-ქმრული ღალატი თავისი მნიშვნელობით უნდა გაუტოლდეს ძალადობასა და მძიმე შეურაცხყოფას.¹

მ. ლეკვეიშვილი არ ეთანხმება საკითხის ამგვარად გადაწყვეტას. მას არ მიაჩნია დამაჯერებლად ასეთი არგუმენტაცია: „ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის მუხლის ამგვარი კონსტრუქცია უსაფუძვლოდ შეამსუბუქებდა იმ პირების პასუხისმგებლობას, რომელთა შეგნებაშიც ზოგიერთ ძველ, მაკნე ტრადიციას ჯერ კიდევ მტკიცედ აქვს მოკიდებული ფეხი”²

მ. ლეკვეიშვილის მტკიცებით, „...ცოლ-ქმრული ღალატის შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, ქმარი შეუსწრებს ცოლს სხვა მამაკაცთან და აფექტის მდგომარეობაში კლავს მას...არ ხდება დაზარალებულის მიერ დამნაშავეს მძიმე შეურაცხყოფა იმ გაგებით, რაც კანონმდებლის მიერ ამ ცნებაშია ჩაქსოვილი. აქ დამნაშავეს ამოდრავებს მხოლოდ შურისძიება, გრძნობს რა თავს შეურაცხყოფილად (თუმცა არა კანონში

¹ Т. Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность, Тбилиси, 1973, ст, 135.

² მ. ლეკვეიშვილი, მკვლელობა ჩადენილი უცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე, „საბჭოთა სამართალი”, 1976, #5, გვ. 15.

მინიშნებული დისპოზიციის ფარგლებში). ამიტომ ქმედება უნდა დავაკვალიფიციროთ როგორც ჩვეულებრივი მკვლელობა შურისძიების მოტოვით. სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს დამნაშავისათვის მიყენებული სულიერი ტრავმა...და დაუნიშნოს სასჯელის მინიმალური ოდენობა”.¹

ჩვენი აზრით, ცოლ-ქმრული ღალატი, ვიდრე მეუღლენი კანონიერ-რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან, თუ ამას შედეგად მოჰყვა დაზარალებულის მკვლელობა, ყველა შემთხვევაში უნდა დავაკვალიფიცირდეს კოდექსის 111-ე მუხლით. მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოღალატე მხარეს ან მისი საყვარელი მოქმედებდა თუ არა ნაღალატევი მხარის პიროვნების პატივსა და ღირსების დამცირების მიზნით. თვით ის ფაქტი, რომ ასეთ მოქმედებას, როგორც წესი, მალულად, ფარულად, შეუმჩნევლად სჩადიან, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ღალატის ფაქტი, მიუხედავად დაზარალებულის „კეთილი” განზრახვისა, თავისთავად არის შეურაცმყოფელი.

მკვლელის, აფექტში ჩავარდნის დროს, როდი რჩება იმის გააზრების ან გამორკვევის დრო, თუ რა მიზნით უღალატეს მას. საერთოდაც, წარმოდგენელია მოღალატე ცოლმა ან ქმარმა, თუ ის ნორმალურია, არ იცოდეს, რომ ღალატით იგი არა მარტო მძიმე, არამედ წარუშლელ შეურაცხყოფასაც აყენებს ნაღალატევი მხარეს.

რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო შეურაცმყოფელი, როდესაც თავმოყვარე, ოჯახის ერთგული, ზნეობრივად წმინდა და ღირსებით ყოველმხრივ შემკული ადამიანი მისდაუნებურად მოწმე გახდება სარეცელის გაყოფისა, ოჯახის შეგნებისა, თავმოყვარეობის შელახვისა და ღირსების დამცირებისა.

მართალია, კანონში არ არის მითითება იმაზე, რომ ცოლ-ქმრული ღალატი დაუშვებელი და სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა, ასევე ვერ ვნახავთ, რომ ცოლ-ქმრული ღალატი დასაშვებია, ისეთი მართლზომიერი მოქმედებაა, რომელიც არ ითვლება შეურაცხმყოფელად. კანონით არც ისე არის ნებადართული, რომ ადამიანს აქვს სქესობრივი თავისუფლება, როდესაც იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება, რომ მეუღლეებს არა აქვთ უფლება დაუშლონ ერთმანეთს სქესობრივი

¹ მ. ლეკვიშვილი, მკვლელობა ჩადენილი უცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღლევის საფუძველზე, „საბჭოთა სამართალი”, 1976, #5, გვ. 14.

აღვირახსნილობა და თავშეუკავებლობა, ხოლო თუ ასეთი რამ მაინც მოხდება, მოუწონონ ერთმანეთს საქციელი ან მშვიდად, უდრტვინველად აიტანონ ეს მდგომარეობა.

სამაგიეროდ, კანონმდებლობაში ხშირად შევხვდებით მითითებას ოჯახის სიწმინდის, ცოლ-ქმრული ერთგულების დაცვის აუცილებლობაზე, შვილების და ოჯახის სხვა წევრთა უფლება-მოვალეობაზე და ა.შ. როგორც ეს სამართლიანად არის მითითებული ლიტერატურაში. ჩვენი საოჯახო კანონმდებლობა არავის ბოჭავს სამუდამო ქორწინებით, არავის აიძულებს შეასრულოს „მუდმივი ქმრის“ ან „მუდმივი ცოლის“ სვეგამწარებული როლი. ვისაც საფუძველი აქვს და არ შეუძლია მეუღლესთან ცხოვრება, უფლება აქვს განქორწინდეს, რის შემდეგ შეუძლია მოიქცეს სურვილისამებრ, თუმცა გარყვნილებას კანონი არც ამის შემდეგ იძლევა.

ცოლ-ქმრული ღალატი ამორალური, დასაგმობი და გასაკიცხი საქციელია, რომელიც პიროვნებას სულიერ ტრაცმას აყენებს. მართალია, სასამართლო პრაქტიკა ცოლ-ქმრულ ღალატს აფექტის გამამართლებელ გარემოებად მიიჩნევს და აღნიშნულ შემთხვევაში დანაშაული კვალიფიცირდება კოდექსის 111-ე მუხლით, მაგრამ მიზანშეწონილი იქნებოდა თუ 111-ე მუხლის დისპოზიციაში ასახვას ჰპოვებდა ცოლ-ქმრული შედეგად აფექტში ჩადენილი მკვლელობაც¹.

საერთოდ კი, შეურაცხყოფა მძიმეა თუ არა, ეს ფაქტის საკითხია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სუბიექტური მომენტი, ე.ი. ის, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს სუბიექტზე შეურაცხყოფა მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში. მაგრამ მართო ეს საკმარისი არ არის. სუბიექტურად მძიმე განცდილი შეურაცხყოფა აფექტს მხოლოდ მაშინ გაამართლებს, თუ იგი ობიექტურადაც მძიმეა. ცოლ-ქმრული ღალატი კი ობიექტურად, როგორც წესი, ყოველთვის მძიმეა. თუ ქმედება არ ატარებს უკანონო ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის ხასიათს, მაშინ მისი დაკვალიფიცირება 111-ე მუხლით არ შეიძლება.

თუ დაზარალებულის უკანონო ძალადობა ან მძიმე შეუტაცხყოფა მიმართული არ არის დამნაშავის ან მისი ახლობლების წინააღმდეგ, მაშინ ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება კოდექსის 111-ე მუხლით.

¹ Т. Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность, Тбилиси, 1973, ст, 135.

კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსში ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

სწორედ შენიშნავს თ, შავგულიძე, რომ თუ „აფექტში მკვლელობა ისეთმა ძალადობამ გამოიწვია ან ისეთმა შეურაცხყოფამ გამოიწვია, რომელიც მიმართული იყო არა დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის, არამედ გარეშე აზრის წინააღმდეგ მაშინ დანაშაული დაკვალიფიცირდება არა 111-ე, არამედ 108-ე მუხლით. ის ფაქტი, რომ აფექტში ჩადენილი დანაშაული გამოწვეული იყო არა მართლზომიერი მოქმედებით...სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.¹

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ „ახლო ნათესავზე“ მითითებით მნიშვნელოვნად იზღუდება იმ ინტერესების სფერო, რომელზედაც ხელყოფამ შეიძლება გაამართლოს აფექტი. ამ თვალსაზრისით ზ. წულაია „ახლო ნათესავის“ ცნებას „ახლობლის“ ცნებით ცვლის და ეყრდნობა საპროცესო კანონმდებლობას.²

ამ მხრივ კოდექსის 111-ე მუხლი მოითხოვს შემდგომ დამუშავებას და დახვეწას.

¹ ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბილისი, 1980, გვ. 49.

² ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი I, თბილისი, 2000, გვ. 89.

2.4 მართლწინააღმდეგობა და ბრალი

დანაშაულის მეორე ნიშანს ქმედების მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს. კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში (ჩვენ შემთხვევაში 111-ე მუხლი) აღწერილი ქმედება თავისთავად როდი ეწინააღმდეგება სამართალს. ის ტიპიურად კი არ არის მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ ასეთი ქმედება ზოგჯერ შეიძლება მართზომიერადაც იყოს ჩადენილი (მაგალითად, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში). ამიტომ მართლწინააღმდეგობას ზოგჯერ პრაქტიკაში სპეციალური მტკიცება სჭირდება.

„ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს მხედველობაშია მისაღები ამ ქმედების ჩადენის აკრძალვა, - წერს ო. გამყრელიძე, - რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა. მართლწინააღმდეგობის დადგენა ნიშნავს იმის დადგენას, დაარღვია თუ არა კაცმა აკრძალვა. დამნაშავე ასრულებს (და არ არღვევს) სისხლის სამართლის კანონს, ანუ ქმედების შემადგენლობას და არღვევს ნორმას, აკრძალვას, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა“¹

ვერ დავეთანხმებით თ. წერეთლის აზრს, თითქოს „დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც აკრძალულია სასჯელის მუქარით“.² სასჯელი აკრძალვას არ აწუხებს. სასჯელი ემუქრება პირს, რომელიც შეასრულებს ქმედებას და ჩაიდენს აკრძალვას. ეს დებულება შეიძლება შემდეგნაირად გავიგოთ: თუ შენ შეასრულებ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით აღწერილ ქმედებას და ამით დაარღვევ აკრძალვას, შენს მიმართ გამოიყენება სწორედ ის სასჯელი, რომელიც გათვალისწინებულია მოცემული მუხლის საწყევით.“

ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილ ქმედების შემადგენლობათა ბუნება. ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით, კოდექსში აღწერილი ქმედების შემადგენლობები და 2) ე.წ. ბლანკეტური მუხლები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, გაუპატიურება, ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა და სხვა. მეორე ჯგუფში ისეთი შემადგენლობები მოიაზრება, რომელთა მართლწინააღმდეგობა ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში დადგენილი ქცევის

¹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, გვ. 83-84.

² საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 43.

წესის დარღვევით გამოიხატება (მაგალითად, საბაჟო წისის დარღვევა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა და ა.შ.).

პირველი ჯგუფის დელიქტების შემადგენლობათა მართლწინააღმდეგობა ჯერ კიდევ ბიბლიიდან (ძველი აღთქმა) მომდინარეობს, რომელსაც ხშირად მოსეს სამართალსაც უწოდებენ. ასეთი აკრძალვები მიდის 10 მცნებიდან. ეს აკრძალვები ისე შეისისხლხორცა თანამედროვე საზოგადოებრივმა აზროვნებამ, რომ მათი სპეციალურ ნორმატიულ აქტში ფიქსირებაც აღარ არის საჭირო. თუმცა თანამედროვე კონსტიტუცია პირდაპირ აკანონებს ამ აკრძალვებს. მაგალითად, კონსტიტუციის მე-15 მუხლით დადგენილია: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“.

როგორც უნდა დადგინდეს მაინც მართლწინააღმდეგობა, როცა ჩადენილია კლასიკური დელიქტის შემადგენლობა? ეს საკითხი პრაქტიკულად დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. განზრახ მკვლელობა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მიეკუთვნება კლასიკური დელიქტების შემადგენლობას. მართლწინააღმდეგობის დადგენა აქ ხდება გამორიცხვის მეთოდით, ნეგატიურად და არა პოზიტიურად. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგოა ყველა შემთხვევაში, თუ არ არსებობს მართლსაწინააღმდეგოა ყველა შემთხვევაში, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება (აუცილებელი მოგერიება, დამნაშავეს შეპყრობა, უკიდურესი აუცილებლობა, მართლზომიერი რისკი, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სხვა ზეკანონიკური გარემოებაც). ნეგატიური ნიშანი გამოხატავს აზრს „არ არსებობს“. თუ მაგალითად, ქმედების შემადგენლობის დადგენის დროს აღმოჩნდა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც გამომძიებელს ან სასამართლოს მიანიშნებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაზე, ის ვალდებულია ამ კუთხით გაამახვილოს ყურადღება და გულდასმით შეამოწმოს საქმის ყველა მასალა. ამ დროს გამოძიება ამოწმებს, არის თუ არა ქმედება მართლსაწინააღმდეგო. სხვა შემთხვევაში კლასიკური დელიქტის შემადგენლობის დადგენა თავისთავად, ავტომატურად მიანიშნებს, რომ ქმედება ჩადენილია მართლსაწინააღმდეგოდ. მაშასადამე, თუ არ არის მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაშინ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

მართლწინააღმდეგობა წმინდა ფორმალური ხასიათისაა და ის თავისი ბუნებით ობიექტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართალი ერთნაირად, თანაბარ საზომს აწესებს ყველას მიმართ, იქნება ის მცირეწლოვანი, თუ ღრმად მოხუცი, ავადმყოფი თუ ჯანმრთელი, გენიოსი თუ ჭკუასუსტი. მართლსაწინააღმდეგოა ადამიანის ყოველგვარი მოქმედება, როგორ ფსიქიკურ მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს ის ჩადენილი.

დანაშაულის მესამე ნიშანია ბრალი. კოდექსი ბრალის ცნებას არ განსაზღვრავს. აქ მოცემულია მხოლოდ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებები.

„ახალი კოდექსის მიხედვით, - წერს მ. ტურავა, - ბრალი არის შეფასებითი, ნორმატიული კატეგორია (უარყოფილია ბრალის ფსიქოლოგიური თეორია). ამას ადასტურებს ის, რომ ახალი კოდექსის მეცხრე თავი ეძღვნება ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებას”.¹

მას შემდეგ, რაც კაცობრიობა ობიექტური შერაცხვდინ სუბიექტურ შერაცხვაზე გადავიდა, დღემდე არსებობს ბრალის ცნების სამგვარი გაგება: 1) წმინდა ფსიქოლოგიური თეორია, 2) შერეული ანუ ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორია, 3) წმინდა ნორმატიული თეორია. ამჟამად, საქართველოში ეს უკანასკნელი გაგება, ანუ წმინდა ნორმატიული თეორიაა დამკვიდრებული.²

ბრალი არის პირის გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი უმართლობის გამო. გაკიცხვა არის პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების უარყოფითი შეფასება პერსონალურ დონეზე. ასე რომ, სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შეფასება ორსაფეხურიანია. ჯერ ფასდება ქმედება ობიექტური სამართლის მიხედვით, იმის დასადგენად, ეწინააღმდეგება თუ არა ის მოქმედ სამართალს, ე.ი. არის თუ არა ის მართლსაწინააღმდეგო. შემდეგ ფასდება მართლსაწინააღმდეგო ქმედება პერსონალურ დონეზე ბრალის დასადგენად.

ბრალის ნორმატიული ცნების დამკვიდრების შემდეგ განზრახვა და გაუფრთხილებლობა აღარ წარმოადგენს ბრალის ფორმებს, როგორც ეს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიაშია მიღებული.

¹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, თბილისი, 2002, გვ. 86.

² ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2002, #3-4

ასე რომ, გამოძიება ჯერ დაადგენს სისხლის სამართლის კანონით აღწერილ ქმედებას თავისი ობიექტური და სუბიექტური მხარეებით. შემდეგ დაადგენს ამ ქმედების მიმართებას სამართალთან და, თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, დაიწყებს ბრალის დადგენას.

როცა დადგინდება ქმედების მართლწინააღმდეგობა, სასამართლო იწყებს ამ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალად შერაცხვას მისი ჩადენისათვის, თუკი, რასაკვირველია, არ არის ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. შერაცხვის დროს მხედველობაშია მისაღები: 1) ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის ხარისხი, და 2) ბრალის ხარისხი. ამის მიხედვით შერაცხვა შეიძლება იყოს: 1) სრული, 2) გაძლიერებული ან 3) შემცირებული. შესაბამისად იზრდება ან მცირდება პასუხისმგებლობის ხარისხი.

უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობა, რისთვისაც პასუხისმგებლობაა დაწესებული კოდექსის 111-ე მუხლით, შემცირებულად შეერაცხება მის ჩამდენს. ძლიერი სულიერი მღელვარება, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი საქციელით, ამცირებს არა უმართლობის, არამედ ბრალის ხარისხს.

თავი 3. დაუმთავრებელი განზრახ მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში

3.1 აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის

მომზადება

კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში აღწერილია დამთავრებულ ქმედებათა შემადგენლობები. მაგრამ კოდექსის მე-18 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არა მარტო დამთავრებული დანაშაულისათვის არამედ მისი მოსამზადებელი მოქმედებისათვის.

დაუმთავრებელი დანაშაულის პირველი დასჯადი სტადია დანაშაულის მომზადებაა. უფრო ადრინდელი სტადია, ე.ი. განზრახვის გამომჟღავნება დანაშაულად არ ითვლება. განზრახვის გამომჟღავნება არის სუბიექტის დანაშაულებრივი გადაწყვეტილების გამოვლინება განზრახვის მესამე პირისათვის განდობა, დღიურში ჩაწერა ან განზრახვის გამოვლინება რაიმე ისეთი მოქმედებით, რომელიც არ ქმნის მომავალში დანაშაულის ჩადენის პირობას, მაგრამ ადასტურებს სუბიექტის დანაშაულებრივ განზრახვას.

დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. მოსამზადებელი მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულის აღსრულების დაწყებას, იგი მხოლოდ ქმნის პირობებს იმისათვის, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს დანაშაულის განხორციელება ან გაადვილდეს მისი ჩადენა.

კოდექსის მე-18 მუხლში მომზადების ობიექტური მხარე დახასიათებულია, როგორც დანაშაულის ჩადენისათვის პირობების შექმნა.

„პირობების შექმნა“ ფართო ცნებაა და მრავალგვარ მოქმედებას მოიცავს. იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ პირობების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იარაღის ან საშუალების დამზადებას ან შეტენას თუ მომარჯვებას დანაშაულის ჩასადენად. იარაღი ან საშუალება შეიძლება იყოს ყოველგვარი საგანი. მაგალითად, მკვლელობის ჩასადენად კაცმა შეიძლება იყიდოს ან ინათხოვროს ცეცხლსასროლი იარაღი, დანა, ან დაამზადოს საწამლავი და სხვა.

როცა დანაშაულის იარაღის დამზადება - შექმნაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ამ იარაღით კონკრეტული დანაშაულის ჩადენა. იარაღის მოპოვება

დანაშაულის მომზადებად მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება, როცა ეს იარაღი წინასწარ ჩაფიქრებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვისაა შექმნილი ან დამზადებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვისაა შექმნილი ან დამზადებული. მაგალითად, კაცმა იშოვა ცეცხლსასროლი იარაღი, რაიმე საქმეში გამომადგებო, მაგრამ დაკონკრეტებული არა აქვს, რას ჩაიდენს ამით, მკვლელობას, ყაჩაღობას თუ სხვა დანაშაულს. ასეთი შექმნა იარაღის, რასაკვირველია, დანაშაულის მომზადებად ვერ ჩაითვლება.

იარაღის ან საშუალების მომარკვებად ითვლება მათი მოყვანა ისეთ მდგომარეობაში რომ შესაძლებელი შეიქნეს განზრახული დანაშაულის განხორციელება. მაგალითად, თოფში ტყვიის ჩადება.

უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში განზრახ მკვლელობის მომზადება სრულიად შესაძლებელია.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის.

უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობა მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა რიცხვს. ამიტომ მისი მომზადება არ იქვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

3.2 აფექტის მდგომარეობაში განზრახ მკვლელობის მცდელობა

დაუმთავრებელი დანაშაულის მეორე დასჯადი სტადიას დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს.

კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

დასჯად მცდელობად ითვლება ისეთი მოქმედება, რომელსაც შედეგი არ მოჰყვა დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. თუ პირმა დანაშაულის მცდელობისას თვით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე, გვექნება არა დასჯადი მცდელობა, არამედ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის დაშორებული მცდელობა დანაშაულის დამთავრებისაგან, განასხვავებენ მცდელობის ორ სახეს: დამთავრებულ მცდელობას და დაუმთავრებელ მცდელობას.

მცდელობა დამთავრებულია მაშინ, როდესაც პირმა გააკეთა ყოველივე, რაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა.

მაგალითად, ან-მა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე იარაღი ესროლა ბან-ს მაგრამ ააცილა.

მცდელობა დაუმთავრებელია მაშინ, როდესაც პირს არ გაუკეთებია ყოველივე ის, რისი გაკეთებაც მისი მხრივ საჭირო იყო შედეგის განხორციელებისათვის.

მაგალითად, ან-მა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე იარაღი დაუმიზნა ბან-ს, მაგრამ ხელიდან აართვეს.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა. ეს პირდაპირაა მითითებული მე-19 მუხლში. მაგრამ, როგორც ვიცით, განზრახვა ორი სახისაა - პირდაპირი და არაპირდაპირი. ქართული სისხლის სამართალში გაბატონებული იყო აზრი, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი, მაგრამ უკანასკნელ წლებში თანდათანობით იწყო დამკვიდრება იმ აზრმა, რომ დანაშაულის მცდელობა არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება.

დანაშაულის მცდელობის ასეთმა გაგებამ, როგორც ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც მოიკიდა ფეხი. გამოითქვა შეხედულება, რომ „ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, მცდელობა შეიძლება არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაშიც“.¹

ასეთი აზრი არ გამომდინარეობს კოდექსის მე-19 მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა, რომელიც „უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად“. სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. „მცდელობა გამორიცხულია აგრეთვე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროსაც, - წერდა თ. წერეთელი, - რადგან ამ შემთხვევაში დამნაშავის ნება არ არის უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი შედეგების განხორციელებაზე“.²

რამდენადაც დანაშაულის მცდელობა დანაშაულის გამოვლინების ფორმაა, ამდენად მისი კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კოდექსის კერძო ნაწილის 111-ე მუხლით, მაგრამ იმ გარემოების აღსანიშნავად, რომ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი და მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, აუცილებელია მითითება მე-19 მუხლზე, რაც განმარტავს მცდელობის ცნებას.

¹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, თბილისი, 2002, გვ. 39.

² საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 119.

3.3 აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება

კოდექსის 21-ე მუხლი ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე.

დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს დანაშაული ჩადენილია, ამიტომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება; ამით კანონმდებელი დამნაშავეს უკანდასახევის საშუალებას აძლევს. ამას გერმანელი იურისტი ა. ფოიერბახი „ოქროს ხიდს“ უწოდებს.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გულისხმობს სამ პირობას: ა) აცდენილი უნდა იქნეს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება; ბ) დანაშაული ბოლომდე არ უნდა იქნეს მიყვანილი თვით იმ პირის ნებასურვილით, ვინც დანაშაულის მომზადება ან მცდელობა ჩაიდინა. გ) დანაშაულის ჩამდენმა პირმა საბოლოოდ უნდა აიღოს ხელი დანაშაულზე.

„ბ“ პუნქტში მოყვანილი პირობით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება განსხვავდება დასჯადი მომზადების თუ მცდელობისაგან, რომლის დროსაც შედეგი არ ხორციელდება დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვაქვს მაშინ, როდესაც სუბიექტი ფიქრობს, რომ მას შესაძლებლობა აქვს ბოლომდე მიყვანის დანაშაულებრივი განზრახვა, მაგრამ გადაწყვეტს ხელი აიღოს მასზე.

დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სუბიექტს თუმცა ფაქტიურად არ ჰქონდა შესაძლებლობა ბოლომდე მიყვანა დანაშაული, მაგრამ თვითონ დარწმუნებული იყო, რომ ამის შესაძლებლობა აქვს.

დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღების ნებაყოფლობით ხასიათზე ზეგავლენას არ ახდენს მოტივი, რომლითაც სუბიექტი გადაწყვეტილების მიღების დროს ხელმძღვანელობდა. ეს მოტივი შეიძლება იყოს ზნეობრივად და არაზნეობრივად.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტმა მიატოვა დანაშაულის ჩადენა, და არა მაშინ, როდესაც მან

დროებით შეწყვიტა მოქმედება, რათა უფრო მოხერხებულ დროს და უფრო მოხერხებულ პირობებში განეგრძო იგი.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც მცდელობას შედეგი არ მოჰყვა დამნაშავეს ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და დამნაშავეს შეეძლო განმეორებით ჩაედინა მცდელობა, მაგრამ ეს მან არ გააკეთა. მაგალითად, პირმა ესროლა დაზარალებულს უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში და ვერ მოახვედრა, მეორედ აღარ უსროლია, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე არ არის იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა ვერ განახორციელა თავისი განზრახვა ობიექტური მიზეზების გამო. მაგალითად, ან-მა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე თავში ჩაარტყა მძიმე ბლაგვი საგანი ბან-ს, მაგრამ ეს საგანი მას თავზე გადაატყდა.

დანაშაულის ნებაყოფლობით მიტოვება შეიძლება როგორც მომზადების, ისე მცდელობის სტადიაზე, უკანასკნელ შემთხვევაში როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი მცდელობის დროს.

მომზადებისა და დაუმთავრებელი მცდელობის დროს დანაშაულის ნებაყოფლობით მიტოვება გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე არ განაგრძობს თავის დანაშაულებრივ საქმიანობას, თუმცა შესაძლებლად მიაჩნია მისი ბოლომდე მიყვანა.

ერთგვარი თავისებურებებით ხასიათდება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის დროს.

დამთავრებული მცდელობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შედეგი დროის მიხედვით დაცილებულია მოქმედებისაგან.

„დამთავრებული მცდელობის დროს - წერდა თ. წერეტელი - დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიური ფორმით, ე.ი. პირმა უნდა უვნებელყოს ის ძალები, რომლებიც მან ამოქმედა შედეგის გამოწვევის მიზნით, და ამით თავიდან აიცილოს დანაშაულებრივი შედეგი. მაგალითად, პირმა მოკვლის განზრახვით წყალში გადააგდო კაცი, მაგრამ მაშინვე თვითონაც გადახტა წყალში და გადაარჩინა იგი, ან ვინმემ, სხვისი სახლის განადგურების მიზნით, ცეცხლი წაუკიდა

მას, მაგრამ მაშინვე ჩააქრო”.¹ ეს დებულება სწორი არ არის. მაგალითად, დამნაშავემ უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე მოკვლის მიზნით თოფი ესროლა მსხვერპლს და ააცილა, მაგრამ მეორედ აღარ ესროლა, თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დამთავრებულ მცდელობასთან. მაგრამ დანაშაული უმოქმედობით შეწყდა.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება მხოლოდ შედეგის განხორციელებამდე.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღები გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულისათვის, რომელზედაც მან ხელი აიღო. მაგრამ თუ მის მიერ შესრულებული მოქმედება თავისთავად შეიცავს რაიმე სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს, იგი პასუხს აგებს ამ დამთავრებული დანაშაულისათვის.

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 128.

დასკვნა

ჩვენს მიერ დამუშავებული თემიდან, „აფექტში ჩადენილი მკვლევლობის სამართლებრივი ანალიზი და პრაქტიკული პრობლემები“, დასკვნის სახით უნდა ჩამოვაყალიბოთ შემდეგი:

აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლევლობა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და მისი ჩადენისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია კოდექსის 111-ე მუხლით.

მოცემული დანაშაული წარმოდგენილია სამი ელემენტების მიხედვით: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. ქმედების შემადგენლობა თავის მხრივ წარმოდგენილია ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარის ელემენტების მიხედვით სახელდობრ, ქმედების ობიექტური მხარე წარმოდგენილია შემდეგი ელემენტებით: ა) ქმედების ობიექტი, ბ) ქმედება და შედეგი, გ) მიზეზობრივი კავშირი ქმედება და დამდგარ შედეგს შორის; დ) ქმედების სუბიექტი. ე) ქმედების ობიექტური მხარის სხვა ელემენტები. ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტები წარმოდგენილია: განზრახვის, მოტივის, მიზანის და ფაქტობრივი ხასიათის შეცდომების სახით.

ყველა სახის მკვლევლობის ობიექტს წარმოადგენს სხვა პირის სიცოცხლის უფლება.

საერთოდ განზრახი მკვლევლობა შეიძლება ჩაიდინოს კაცმა როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით, მაგრამ უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლევლობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ აქტიური მოქმედებით.

ჩვენს მიერ დამუშავებული დანაშაული ე.წ. შედეგიანი (მატერიალური) დანაშაულია და დამთავრებულად ითვლება სხვა პირის სიცოცხლის მოსპობის მომენტიდან. ასეთი შედეგი არ განხორციელდება, მაშინ საქმე გვაქვს დაუმთავრებელი სახის მკვლევობასთან, ე.ი. მომზადებასთან ან მცდელობასთან.

სუბიექტის მოქმედებასა და ადამიანის სიკვდილს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც მოქმედება წარმოადგენდა ადამიანის სიკვდილის აუცილებელ პირობას ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა.

მოცემული დანაშაულის სუბიექტია ის პირი, რომელსაც სასამართლო ბრალად შერაცხავს მის მიერ კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას.

ერთპიროვნული ანუ უშუალო ამსრულებელი არის ყოველი ადამიანი, ვინც საკუთარი ხელით ერთპიროვნულად ასრულებს დანაშაულის შემადგენლობას. ამ თვალსაზრისით უშუალო ამსრულებლის ცნება ემთხვევა დანაშაულის სუბიექტის ცნებას.

როგორც კანონის დასახელებიდან ჩანს ამ სახის მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით.

განზრახ მკვლელობა რომ უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილად ჩაითვალოს საჭიროა ერთდროულად არსებობდეს ოთხი პირობა მაინც: ა) დამნაშავე მკვლელობის ჩადენისას უნდა იმყოფებოდეს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ბ) ძლიერი სულიერი აღელვება აღძრული უნდა იყოს უეცრად; გ) უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული უნდა იყოს მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, მძიმე შეურაცხყოფით, მძიმე ამორალური ქმედებით, მსხვერპლის არა ერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმით: დ) მსხვერპლის ქმედებები მიმართული უნდა იყოს დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

თუ წინასწარი გამოძიებით ან სასამართლო განხილვის შედეგად არ დადგინდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაშინ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

როცა დადგინდება ქმედების მართლწინააღმდეგობა, სასამართლო იწყებს ამ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბრალად შერაცხვას მისი ჩადენისათვის, თუკი, რასაკვირველია, არ არის ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1999 წლის 22 ივლისს;
2. ო. გამყრალიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008 წ.;
3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976 წ.;
4. ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბილისი, 1997 წ.;
5. ბ. ფურცვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1971 წ.
6. ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, #3-4, 2002;
7. ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბილისი, 1974 წ.;
8. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2008 წ.;
9. Советское уголовное право, часть особенная, Москва, 1977 г.
10. Ю Крутов, Умышленная убиство совершенное в состоянии внезапно возникшего сильного душевного волнения, Москва, 1966.
11. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1989 წ.;
12. Судебная психиатрия, Москва, 1971 г
13. Т. Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность, Тбилиси, 1973 г.;
14. П. Дагель, Проблема бессознательного и некоторые вопросы вины в уголовном праве, Москва, 1968 г.;
15. Г. Злобин, Б. Никифоров, Умысел и его формы, Москва, 1972 г.;
16. მ. ლევიშვილი, მკვლელობა, ჩადენილი უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღალღეების საფუძველზე, „საბჭოთა სამართალი“, 1976 წ. #5;
17. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბილისი, 1980 წ.;
18. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი I, თბილისი, 2000 წ.;
19. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976 წ.

20. О.Д.Ситковская, Л.П.Коньшева, М.М.Коченов, Новые направления судебнопсихологической экспертизы, Москва-2000.
21. 219 სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი, 2002, გამომცემლობა სამართლებრივი განათლების ასოციაცია,,